# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში,
როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა,
ტყუილობით და ჭორებით ბრძოლის
გატანა ყველა უკადრისობაზე
უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.


შაბათი, 13 აპრილი, 2013 წელი.

№69 (7196)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## „ნიკა რურუა ხელისუფლებაში იმ დროს მყოფი ადამიანის ტყავის გადარჩენას ცდილობს“ 3

## მესამე პოლიტიკური ძალის შექმნის არეალი ყოველთვის არსებობს



4

## „ქართულმა ოცნებამ“ სააკაშვილს შეკანასკნელი ალუმი ჩამოართვა 8



9

## პროტესტი რიყეზე, რეიგანის ძეგლთან

## იუნესკოს სწორედ ის არ მოსწონს, რომ დაიკარგა სვეტიცხოველი... 6



# ველოსიპედიანი სააკაშვილის ავარია!

## რუსის თვითმფრინავისაგან დამფრთხალ მთავარსარდალს თურქის ტრაილერი ლავაშივით გაბრტყელებდა!



საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ თურქეთის რესპუბლიკაში ვიზიტისას ველოსიპედით ვარჯიშის დროს მომხდარ ავარიას თურქული მედიასაშუალება haberturk.com. სტატიას უძღვნის. ჟურნალისტი თურქ მძღოლს ესაუბრა.

„კვირის დასაწყისში ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა ავარიამ მსოფლიოს სააგენტოების პირველი გვერდები მოიარა. ანტალიაში მყოფმა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მძიმე დაზიანება მიიღო, რომელიც რამდენიმე ათეული ნაკერის დადებით დასრულდა. ამ ფაქტს ბევრი თვითმხილველი არ ჰყოლია, რადგან ანტალიის ეს უბანი ხალხმრავალი არ გახლავთ.

სამწუხაროდ, ახლომდებარე შენობებზე არც ვიდეოკამერებია დამონტაჟებული. მართალია, ქართულმა მხარემ ამ ამბის შემდეგ ინფორმაცია გაავრცელა, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტის პრეს-სამსახურის კომენტარმა უფრო მეტი კითხვა გააჩინა.

ამის გამო იყო, რომ ინციდენტის დეტალების დასაზუსტებლად მეორე მხარეს, გადამზიდავი კომპანია „ანადოლუს“ მძღოლ უმით ოქურს მივმართეთ, რომლის მოხელთებაც მხოლოდ ტელეფონით მოვახერხეთ. 43 წლის უმითი (რომელიც ქალაქ სივადანაა) იხსენებს, რომ მსგავსი რამ ცხოვრებაში არასოდეს მოსვლია:

**„როგორც წესი, ქალაქში მოსიარულე ველოსიპედისტები საათში 35-40 კმ სიჩქარით დადიან, მაგრამ მე აშკარად 60 კმ/სთ-ით მივდიოდი, როცა ჩემგან მარცხნივ ველოსიპედისტმა ჩამიქროლა და გადამასწრო. აღმართი იწყებოდა და მივხვდი, რომ ველოსიპედი მსგავს სიჩქარეს ველარ შეინარჩუნებდა. მართლაც, ჩემს მანქანასა და ველოსიპედს შორის მანძილმა სწრაფად იკლო. კიდევ კარგი, მოვასწარი ავარიულად დამუხრუჭება, თორემ საქართველოს პრეზიდენტს ალბათ, ვიმსხვერპლებდი“** — ამბობს მძღოლი.

უმით ოქური იხსენებს ასევე, რომ პირველმა გაუწია დახმარება მიხეილ სააკაშვილს და ისიც თქვა, რომ მისი სახე მალევე ამოიცნო, რადგან 2007 წელს ხშირად უწევდა საქართველოში ყოფნა და საქართველოს გზებზე ბევრჯერ ხვდებოდა პრეზიდენტის ბილბორდები.

**„მადლობა ღმერთს, რომ გამოცდილებამ არ მიღალატა, თორემ მართლა ძნელი იქნებოდა ჩემთვის ამ ამბის გადატანა“**, — ამბობს უმითი, რომელმაც სამსახურიდან ორკვირიანი შვებულება აიღო“ — წერს haberturk.com.

### ხუმარსიტყვა

**მესიჯი თურქი მძღოლისთვის**

**კაცმა უნდა ლავაშივით გაგაბრტყელოს,**
**უფრო მეტიც — აგიფეთქოს ბრაზის დენთი:**
**სად ჰყავს ნატოს კართან მისულ საქართველოს**
**ტრაილერით დასამტვრევი პრეზიდენტი...**

რამაზ ილმელი

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ინფორმაცია

# ბიძინა ივანიშვილი: პრეზიდენტს, იმდენჯერ მოუწევს დაკითხვაზე მისვლა, რამდენჯერაც საჭირო იქნება



**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის შესაძლო დაკითხვის საკითხზე მის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე განმარტებას აკეთებს.**

— მინდა, განცხადება გავაკეთო და ნათელი მოვფინო ჩემს პასუხს ჟურნალისტებთან შეხვედრაზე 2008 წლის ომის გამო პრეზიდენტის დაკითხვასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე, რომელმაც სრულიად უსაფუძვლო აჟიოტაჟი გამოიწვია. ომის თემას მხოლოდ ამ შეკითხვის კონტექსტში შევეხე და ხაზი გავუსვი პრეზიდენტის დამოკიდებულებას დაკითხვის მიმართ.

2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით, პირველ რიგში, მინდა განვაცხადო — მე არასოდეს მითქვამს, რომ საქართველო იყო აგრესორი და ომი დაიწყო. ჩვენს ჯარს არ გადაუკვეთავს სხვა ქვეყნის საზღვარი და არ გადასულა სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. სწორედ რუსეთმა დაარღვია სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიული საზღვრები და განახორციელა აგრესია ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, რასაც ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია მოჰყვა, — ნათქვამია ბიძინა ივანიშვილის განცხადებაში.

ამასთან, მისივე განმარტებით, ამის მიუხედავად, „ჩვენი ვალია, უპასუხოდ არ დარჩეს არც ერთი კითხვა, რომელიც აღელვებს ჩვენს საზოგადოებას“.

— ჩვენ უნდა გამოვიძიოთ და დავადგინოთ სიმართლე, რაც დარწმუნებული ვარ, არავითარ შემთხვევაში არ დააზარალებს ჩვენი ქვეყნის იმიჯს და ვერაფერი შეეხება მის ტერიტორიულ მთლიანობას, რადგან, რაც არ უნდა ემოქმედა ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას, ეს არ ამართლებს რუსეთის აგრესიას.

სიმართლის დადგენა აუცილებელია ჩვენი ქვეყნისთვის, მიუკერძოებელი გამოძიება დაასრულებს ომის თემით სპეკულაციებს, სამართლიანობის პრინციპის დამკვიდრება აამაღლებს საქართველოს ავტორიტეტს, მის სანდოობას. საჭიროა პასუხი გაეცეს ბევრ კითხვას, რომელიც ომთან დაკავშირებით წინა ხელისუფლების მიმართ არსებობს — რატომ ვერ შეძლო სააკაშვილმა აშკარა პროვოკაციის თავიდან აცილება, როგორ მოქმედებდა მთავარსარდალი და მთავრობა, რატომ ერეოდნენ ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლები სამხედრო ოპერაციის მართვაში, რამაც ქაოსი და არეულობა გამოიწვია, რატომ მოჰყვა ამხელა მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობას შორის, რატომ ვერ შეძლო მთავრობამ მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია, როგორ დარჩნენ მეთაურის გარეშე ჩვენი რეზერვისტები, რომლებიც შემთხვევით გადაურჩნენ სიკვდილს და მრავალი სხვა.

არავინ აყენებს ეჭვქვეშ ჩვენი შეიარაღებული ძალების თავდადებას, მათ გმირობას — ასობით ახალგაზრდა შეაკვდა ამ უთანასწორო ბრძოლას. კითხვები მხოლოდ პოლიტიკური ხელმძღვანელობის — მთავარსარდლისა და მთელი მთავრობის მიმართ ისმება და ისინი ვალდებული არიან კანონის წინაშე გასცენ პასუხი ამ კითხვებს, — აღნიშნულია განცხადებაში.

ბიძინა ივანიშვილის აზრით, დამთავრდა ის დრო, როდესაც სააკაშვილი თავად განსაზღვრავდა, ვის უნდა ეპასუხა ხალხისთვის მტკივნეულ კითხვებზე და ვის — არა.

— ერთხელ და სამუდამოდ საქართველოში უნდა დამთავრდეს ეპოქა, როდესაც ქვეყნის მმართველი კანონზე მაღლა აყენებს თავს. ახლა კანონის უზენაესობა არის მთავარი და ყველას, მათ შორის პრეზიდენტს, იმდენჯერ მოუწევს დაკითხვაზე მისვლა, რამდენჯერაც საჭირო იქნება.

ის, რომ სააკაშვილი რუსეთის პროვოკაციას წამოეგო, უდავოა, თუმცა არც რუსეთი აღმოჩნდა ამ პროვოკაციით მოგებული და იმედია, ამას კარგად აცნობიერებენ თავად რუსეთშიც.

მჯერა, რომ სწორი, დიპლომატიური და გააზრებული ნაბიჯებით ჩვენი ქვეყანა აუცილებლად შეძლებს ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებას, — ნათქვამია ივანიშვილის განცხადებაში, იუწყება ინტერპრესი.



ფეისბუკიდან

# წერტილოვანი ფრაზები

● პოლონურ ტრაილერებსაც აქებენ....)))

● რკინის მხარ-ბეჭიანი პოლონეთიდან სად მიემგზავრება ხომ არ იცით??? :))

● წაქცეულს არ ურტყავენო....მაგ პრინციპით ვერიდებოდი გენერლის პროვოკაციას, ტუტუც გაზულუქებულ სამხედრო ნაცკორდინატორ კალანდაძეს! მარა არ ასვენებს გამჩენი, გამოალაყეს დიადმა იდეოლოგებმა, ეს ისედაც დაფშტვენილი ბაღანა..... რეალ ტივ გურამ დონაძის ტექსტებით აატლიკინეს ეს სამხედროს პროვოკაცია.... ეეე გიგილო ყველა შენი და შენი ბანდის ცოდვა რომ ამოტივტივდეს, მართლა ქვეყნის სირცხვილია. დააყე მანამ ყველაზე ცოტას გედავებიან, რაც დაგიშავებია!!!




● აფხაზეთის ტერიტორიაზე ძლიერი მიწისძვრა დაფიქსირდა, ბიძგების სიძლიერემ 5 მაგნიტუდა შეადგინა. სტიქიის ეპიცენტრი სოხუმსა და ოჩამჩირეს შორის 48 კილომეტრში 2 კილომეტრის სიღრმეზე დაფიქსირდა. ნგრევისა და მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

● ახლა ვიძინებ და გამაღვიძეთ როდესაც ამ ქვეყანაში, ეს სიბინძურე, სიბნელე, ნაციონალური კოშმარი და ოცნებისტური იმედგაცრუება, ედიკასდროინდელი კორუმპირებულების ზეობა, ახალგაზრდების კრეტინიზმი, ბიძინა, მიშა, მთელი მათი ბინძური ამალა, უტვინო და უპრინციპო ადამიანები დამთავრდება...

● ნაცებო, არ მითხრათ ახლა პუშკინის ძიძა არინა როდიონოვნა, გენერალ როდიონოვის დიდი ბებია იყოო?!

● „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ფრაქცია დღეს წყალტუბოს საკრებულოშიც შეიქმნა. ხვალ ქუთისის საკრებულოს სხდომაზე ქუთაისის მერის იმპიჩმენტის საკითხი დადგება. საკითხის ინიციატორი „საქართველოს პატრიოტთა ალიანსია“. 5-10 დღის ვადაში ქუთაისის მერის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდება. ქუთაისს მალე ახალი მერი ეყოლება, რომელიც, რა თქმა უნდა, არ იქნება „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატურა. „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ აგრძელებს სააკაშვილის რეჟიმის ხელიდან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გამოგლეჯის პროცესს. სატელევიზიო სივრცე კი, ამ უმნიშვნელოვანესი საკითხით, რატომღაც, არ ინტერესდება. ეტყობა, სხვა... უფრო „მნიშვნელოვანი“ მოვლენები ხდება... :)))

**გია გაბრიჭიძე**

# 13 434 ათასი ლარის შემოსავალი მიიღეს

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ 2012 წლის განმავლობაში პოლიტიკური პარტიების ფინანსებთან დაკავშირებით ანგარიშს აქვეყნებს. ანგარიშის მიხედვით — 2012 წელს (აგვისტო-სექტემბრის გამოკლებით) საარჩევნო კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალმა ექვსმა პარტიამ საერთო ჯამში 4 მილიონ 607 ათასამდე ლარის შემოსავალი მიიღო; ერთიანმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ — 13 მილიონ 434 ათასი ლარი; „ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ“ — 961 ათასი ლარი; „საქართველოს ლეიბორისტულმა პარტიამ“ კი — 337 ათასი ლარი.**

ორგანიზაციის განმარტებით, პოლიტიკური პარტიები შემოსავლის უდიდეს ნაწილს სახელმწიფო დაფინანსებისა და შემოწირულებების სახით იღებდნენ.

ალიან-ჩალიანი

## 26 მაისს აუცილებლად იქნება სამხედრო კომპონენტი

**ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობასთან შეხვედრის დაწყებამდე ჟურნალისტებს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ განუცხადა.**

**ალასანიამ აღლუმთან დაკავშირებით მცირე კომენტარი გააკეთა და აღნიშნა, რომ 26 მაისი აუცილებლად საზეიმოდ აღინიშნება და იქნება სამხედრო კომპონენტი.**

## ქუთაისის მერი თანამდებობიდან გადააყენეს

**ქუთაისის საკრებულომ ქუთაისის მერის ბესიკ ბრეგაძის იმპიჩმენტის გადაწყვეტილება მიიღო. როგორც „ინტერპრესნიუსის„ კორესპონდენტი ქუთაისიდან იუწყება, აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი 14-მა წევრმა დაუჭირა, 5 კი წინააღმდეგი იყო. შესაბამისად, ქუთაისი ამ დროისთვის მერის გარეშეა დარჩენილი.**



**სხდომა ხმაურით წარიმართა და მას იმერეთის გუბერნატორიც ესწრებოდა. „ნაციონალური მოძრაობის„ წევრებმა საბჭოთა კავშირის ჰიმნიც ჩართეს და კარიკატურა გამოიტანეს, რომელზეც იმერეთის ვიცე-გუბერნატორობიდან რამდენიმე დღის წინ გადამდგარი გოჩა თევდორაძე იყო გამოსახული.**

**იმპიჩმენტთან დაკავშირებით კომენტარი უკვე გააკეთა ყოფილმა მერმა ბესიკ ბრეგაძემ. მისი თქმით, ამ გადაწყვეტილების შემდეგ მას დასვენების საშუალება მიეცემა. დარჩება თუ არა პოლიტიკაში, ბრეგაძე არ აკონკრეტებს.**

**მერის იმპიჩმენტის საკითხი „ქართულმა ოცნებამ“ და იმ დეპუტატებმა დააყენეს, რომლებმაც „ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქცია რამდენიმე დღის წინ დატოვეს.**

**მერობის ერთ-ერთ კანდიდატად სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილე გიგა გიორგაძე განიხილება, რომელსაც ეს ინფორმაცია ჯერჯერობით არ დაუდასტურებია.**

## მარნეულის სოფელ ახკერპში სოციალურმა აგენტებმა ოჯახიდან ცხრა ბავშვი გაიყვანეს

**მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ახკერპში მცხოვრები 9-შვილიანი ოჯახის შვიდი ბავშვი სოციალურმა აგენტებმა მიმღებ ოჯახებში გადაანაწილეს. როგორც „ინტერპრესნიუსის“ რეგიონული კორესპონდენტი იუწყება, ამის მიზეზად მძიმე სოციალური პირობები დასახელდა.**

**ამასთან, ოჯახის კიდევ ერთი შვილი, დაახლოებით 10 წლის მოზარდი ამ დროისათვის დამწვრობის ცენტრშია მოთავსებული, სადაც სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა, ბავშვს ზურგის არეში მძიმე დამწვრობა ჰქონდა და, მედიკოსთა ინფორმაციით, კანის გადანერგვა დაჭირდა.**



**რაც შეეხება კიდევ ერთ, სავარაუდოდ, თვენახევრის ბავშვს, წინასწარი ინფორმაციით, კუნთების ატროფიისა და წონის დეფიციტის დიაგნოზით ჟვანიას სახელობის კლინიკაშია გადაყვანილი.**

**არსებული ინფორმაციით, ბავშვები მძიმე სოციალურ პირობებში იზრდებოდნენ, მათ არა აქვთ დაბადების მოწმობები და მშობლებმა ბავშვების ზუსტი ასაკი არ იციან.**

**ოჯახის გვარი ჯერ არ სახელდება, თუმცა ისინი სომეხი ეროვნების არიან.**

## მზვერავთა ანტიტერორისტული სწავლებები

**ოკუპირებულ აფხაზეთში დისლოცირებული რუსული სამხედრო ბაზის მზვერავებმა ანტიტერორისტული სწავლებები დაიწყეს. ამის შესახებ აფხაზური მედია წერს. მათი ინფორმაციით, სწავლება გულისხმობს შავი ზღვის სანაპირო ზოლზე ტერორისტული დაჯგუფების აღმოჩენისა და განადგურების ოპერაცია, იუწყება ინტერპრესი.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

№69. შაბათი, 13 აპრილი, 2013 წელი.

# „ნიკა რურუა ხელისუფლებაში იმ დროს მყოფი ადამიანის ტყავის გადარჩენას ცდილობს“



**აგვისტოს ომის გამოძიებამ ყველაზე მეტად ნაციონალები დააფრთხო. კულტურის ყოფილი მინისტრის ნიკა რურუას განცხადებით, აგვისტოს ომის გამოძიება სახიფათო თამაშია, რომელიც შეიძლება, ძირძველი ქართული მიწების დე იურე დაკარგვაში გადაიზარდოს.**

მისი თქმით, ომის მიზეზების გამოძიებამ, რასაც აპირებს იუსტიციის მინისტრი და რასაც პრემიერ-მინისტრიც დაეთანხმა, შეიძლება, არაღიარების პოლიტიკას საფრთხე შეუქმნას. ეს იქნება მკაფიო გზავნილი მსოფლიოსთვის, რომ რასაც აქამდე ქართული სახელმწიფო ამბობდა, ტყუილი ყოფილა.

მეტიც, ნიკა რურუას თქმით, თუ რუსეთი ვინმეს ჰპირდება, რომ, თუ საქართველო „დანაშაულს“ აღიარებს, იგი რაიმეს დათმობს, ეს დიდი შეცდომაა. ამდენად, პრემიერ ივანიშვილის სიტყვები „ვიცხოვროთ სიმართლით“ ლამაზი ნათქვამია, მაგრამ ცალმხრივია, რადგან რუსეთი სიმართლით არ ცხოვრობს.

**„ეს გულუბრყვილო პოლიტიკა სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანს, ამას მოყვება ის, რომ მსოფლიო არაღიარების პოლიტიკას ნელ-ნელა მეთოდურად დაანებებს თავს“,** — აღნიშნა რურუამ.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ექსმინისტრი ურჩევს პრემიერს, თუ ამ ომის დაწყების დეტალები აინტერესებს, შიდა მოკვლევა ან გამოძიება ჩაატაროს.

**თავის მხრივ, ბიძინა ივანიშვილი მიიჩნევს, რომ აგვისტოს ომის მოვლენების დროს საქართველოს ხელისუფლება, პრეზიდენტის მეთაურობით, არაადეკვატურად მოიქცა და მის სრულყოფილ გამოძიებას საერთაშორისო თანამეგობრობაც ელის და ეს მხოლოდ ქვეყნის ხელისუფლების ინტერესში არ არის.**

უკვე გადაწყვეტილია, რომ პარლამენტში 2008 წლის აგვისტოს ომის მიზეზების შემსწავლელი კომისია შეიქმნება. ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემ განაცხადა. მისი აზრით, უნდა ვიცოდეთ, რა ხდებოდა აგვისტოს ომის დროს, რა ძაბავდა სიტუაციას, რა ქმედებას ახორციელებდა ხელისუფლება. ამ კითხვებზე საზოგადოებას პასუხი არ აქვს და ის პასუხები, რაც წინათ ხელისუფლებამ კომისიის დასკვნის სახით საზოგადოებას მიაწოდა — იყო პიარი და რეალური სიტუაციის დაფარვის მცდელობა.

**ის, რომ ომი რუსეთმა წამოიწყო, ამას ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები არ უარყოფენ. სულ ახლახან, თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ დაადასტურა, რომ რუსეთის მიერ ომის დაწყების საკითხი და სუვერენული საქართველოს ოკუპაცია კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას. თუმცა, საკითხავია, შეიძლებოდა თუ არა პოლიტიკური ნაწილით ამის თავიდან აცილება?! ჰქონდა თუ არა დიპლომატიური, სახალხო დიპლომატიური, საერთაშორისო რესურსები საქართველოს, რომ ეს ომი აეცილებინა? ამდენად, საინტერესოა, რატომ ვერ დაიცვა საქართველომ თავი, რათა მომავალში გვქონდეს რეალური დოქტრინა და იგივე არ განმეორდეს.**

რამდენად რეალურია ყოფილ ხელისუფალთა შიში, რომ აგვისტოს მოვლენების გამოძიების შემთხვევაში, თუკი საქართველოს ბრალეულობა გამოიკვეთება, მაშინ ოკუპირებული ტერიტორიების აღიარების პოლიტიკა იმ ქვეყნებსაც გადაედება, რომლებიც აქამდე ამისგან თავს იკავებდნენ?! ამის შესახებ For.ge ექსპერტებს ესაუბრა.

ექსპერტი კავკასიის საკითხებში **მამუკა არეშიძე** აცხადებს, რომ **ჩვენი კონფლიქტური რეგიონების არაღიარების პოლიტიკა აქ არაფერ შუაშია და საქმე აქეთკენ არ მიდის. მისი თქმით, ოპოზიციის ბევრი წარმომადგენელი თავიდანვე ცდებოდა, როდესაც საკითხს ასეთნაირად აყენებდა, თითქოს, საქართველომ დაიწყო ომი.**

მიუხედავად იმისა, რომ პირადად იგი ყოველთვის აკრიტიკებდა წინა ხელისუფლებას და მოითხოვდა გამოძიების პროცესის დაწყებას, არასდროს აცხადებდა, თითქოს, ომი საქართველომ დაიწყო, რადგან ომის დაწყების მთავარი ინიციატორი რუსეთი იყო. აქ საუბარია ომზე და არა — ბრძოლაზე. თორემ, ექსპერტის თქმით, კონკრეტული ბრძოლა შეიძლება, 7-ში ღამითაც დაიწყო საქართველოს ხელისუფლებამ, რადგან მანამდეც მიმდინარეობდა ბრძოლები. უფრო ზუსტად, 5 აგვისტოს ორი სამშვიდობო ჯარისკაცი უკვე დაღუპული გვყავდა და, საერთოდ, 1-ლი აგვისტოდან დაიწყო ქართული სოფლების დაბომბვა.

**„ვერც ერთი რუსი სამხედრო ვერ იტყვის, თითქოს, რუს სამშვიდობოებს არ შეეძლოთ, ხელი შეეშალათ ოსური მხრიდან ქართული სოფლების საარტილერიო დაბომბვისთვის. გარდა ამისა, ვინ მისცა მათ ეს იარაღი? რუსებმა არ მისცეს? ასე რომ, რასაკვირველია, ომი დაიწყო რუსეთმა, გარკვეული მიზნებით, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ იცოდა რა, რომ ხაფანგს უგებდნენ, მაინც ამ ხაფანგში გაყო თავი“,** — აცხადებს მამუკა არეშიძე და მისი მონაწილეობით „მაესტროს“ ერთ-ერთ ეთერს იხსენებს, სადაც საგარეო საქმეთა მინისტრ ვაშაძესთან საუბარში მნიშვნელოვანი რამ გამოჩნდა.

**კერძოდ, გრიგოლ ვაშაძემ თქვა, რომ 2008 წლის 21 თებერვალს ისინი შეხვედრაზე იყვნენ პუტინთან და პუტინმა მათ უთხრა: თქვენ აუცილებლად დაისჯებით და არა იმიტომ, რომ ეს თქვენი ბრალია, არამედ იმიტომ, რომ დასავლეთმა აღიარა კოსოვო. ამდენად, ექსპერტის თქმით, პუტინს გაუფრთხილებია ქართული მხარე, რომ ამას აპირებდა და ეს პირდაპირი აღიარებაა, რომ რუსეთი ემზადებოდა ომისთვის. თუმცა ეს, ამავდროულად, საქართველოს წინა ხელისუფლებაც გაფრთხილებული იყო.**

ამის შემდეგ კი იმავე ეთერში ვაშაძის მაშინდელმა მოადგილემ ნიკა ვაშაკიძემ აღიარა, რომ ომის თავიდან აცილების საშუალება იყო, მაგრამ ეს ამბავი არ მოხერხდაო. ამდენად, მამუკა არეშიძის აზრით, აგვისტოს ომის ფაქტების გამოძიებისას, რუსეთის დანაშაული შეიძლება უბრალო შტრიხებით შეივსოს, თორემ ერთმნიშვნელოვანია, რომ რუსეთმა ომი დაიწყო და მას პირადად აქვს ნანახი, რომ მარტში უსაფრთხოების ზონის მიღმა, ანუ ჯავის რაიონში, როგორ ხდებოდა რუსული ახალი შეიარაღებისა და სამხედროების დისლოკაცია. მეტიც, ექსპერტმა ჯერ კიდევ ივლისში გააფრთხილა ჩვენი ხელისუფლება, რომ მოვლენები ასე განვითარდებოდა, მაგრამ ისინი არ მოეშვნენ საომარ რიტორიკას.

**„ამიტომ გამოძიების პროცესში მთავარია საქართველოს პოლიტიკური ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაული საკუთარი მოსახლეობის მიმართ — ხალხის მიტოვება, ჯარების არასწორი მართვა. თორემ ის, რომ ტერიტორიები ოკუპირებულია და რუსეთი ხელს უწყობდა სეპარატისტებს, განსაკუთრებით კოკოითს, ომის ხანძრის გაჩაღებაში, ამაზე საუბარი ზედმეტია. თუ იმ კონტექსტში დავიწყებთ გამოძიებას, საქართველომ თურმე როგორ დაიწყო ომი, მაშინ ნიკა რურუას ეს განცხადება გასაგებია. მაგრამ ასე არ მოხდება, რადგან მთავარია, ომამდე როგორ მივიდნენ და ომის დროს როგორ იქცეოდა საქართველოს ხელისუფლება“,** — განმარტავს მამუკა არეშიძე.

**კონფლიქტოლოგი გოგი ხუციშვილი მიიჩნევს, რომ ამჟამად სხვა მიზეზს იშველიებს ნიკა რურუა, თუმცა, ერთია, ხელისუფლებაში იმ დროს მყოფი ადამიანის კონკრეტულად ტყავის გადარჩენის საკითხი და მეორეა, ქვეყნის პრესტიჟის საკითხი, რაც სიმართლის დადგენას მოითხოვს. ამდენად, აგვისტოს ომი გამოძიებულ უნდა იქნას და ამით, არავითარ შემთხვევაში, ჩვენი კონფლიქტური რეგიონების კიდევ მეტად აღიარება არ მოხდება.**

უფრო მეტიც, ამ რეგიონების აღიარება ზუსტად მას შემდეგ მოხდა, რაც 12 აგვისტოს პრეზიდენტები შეიკრიბნენ, სარკოზი-მედვედევი უკვე ხელს აწერდნენ არა 6-პუნქტიან ხელშეკრულებას, არამედ მის ისეთ რედაქციას, სადაც ეწერა, რომ კონფლიქტის ზონების შემდგომი სტატუსი დადგინდება საერთაშორისო მოლაპარაკებების შედეგად და ეს ყველაზე კარგი გამოსავალი იქნებოდა. მეტიც, ამ ხელშეკრულებით ყველა მხარე ვალდებული და ასე ვთქვათ, „დაჭერილი“ იქნებოდა. ამ დროს კი სააკაშვილის გადაწყვეტილებამ ხელი გაუხსნა რუსეთს და სააკაშვილმა 12 აგვისტოს ხელშეკრულების შავი ვარიანტიდან ეს პუნქტი საკუთარი ხელით ამოშალა.

**გოგი ხუციშვილის** აზრით, ამის მიზეზი ის იყო, რომ საკითხი ჩიხში ბოლომდე შესულიყო და პრობლემა მთლიანად რუსეთზე გადაებრალებინა, რითაც თავს დაიზღვევდა, რომ საკითხი ვერ გვარდებოდა.

ამდენად, **კონფლიქტოლოგი მიიჩნევს, რომ სააკაშვილისთვის პირადი პასუხისმგებლობის მოხსნის საკითხი უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ქვეყნის ინტერესი.**

**„თუ რამე თავის გასამართლებელი აქვს, ახლა მაინც უნდა თქვას სააკაშვილმა. მაინც მგონია, იმის გამო, რომ ჯერჯერობით, იგი პრეზიდენტის პოსტზეა და არსებობს რაღაც დაწერილი თუ დაუწერელი საერთაშორისო შეთანხმებები, მისი პოსტიდან გადაყენების საკითხი არ დადგება. თეა წულუკიანმაც შესწორება გააკეთა, შეიძლება, ამაზე მსაჯელობა მაშინ მოხდეს, როცა იგი პრეზიდენტი აღარ იქნებაო. ამიტომ, რატომღაც მგონია, ეს მართლაც ასე მოხდება, რათა საერთაშორისო სპეკულაციებს არ მიეცეს საფუძველი. მაგრამ ადრე თუ გვიან ეს საკითხი დადგება, მიხეილ სააკაშვილი იმ დროს უკვე ჩვეულებრივი მოქალაქე იქნება და მან პასუხი უნდა აგოს თავის ქმედებებზე“,** — აცხადებს გოგი ხუციშვილი.

ამასთან, მისი თქმით, ჩვენ გვაქვს ძალზე ობიექტურად ჩატარებული საერთაშორისო დონის შეფასება, რასაც ჰქვია ჰაიდი ტალიავინის, ანუ ევროკავშირის დამოუკიდებელი მონიტორინგის მისიის სქელტანიანი ანგარიში. მასში ნათლად წერია, რომ ყველა მონაწილე მხარეს ამ კონფლიქტში აქვს თავისი წილი პასუხისმგებლობა.

ამის მიუხედავად, ექსპერტი აცხადებს, რომ სააკაშვილის მთელი პოლიტიკა იქით იყო მიმართული, რომ მომხდარის გამო მთელი ბრალი იდენტიფიცირებული ყოფილიყო რუსულ მხარესთან და თვითონ მთლიანად მოეხსნა პასუხისმგებლობა. სწორედ ამისთვის ჩაატარეს ასეთი ოპერაცია, თითქოს 7 აგვისტოს რუსებს უკვე შემოყვანილი ჰყავდათ დამალული ტანკები. გოგი ხუციშვილის თქმით, ნაციონალებს ეს სჭირდებოდათ, თუმცა, სინამდვილეში, ტალიავინის კომისიამ ეს ვერ დაადასტურა.

**„რა თქმა უნდა, დიდი ხანია, რუსეთი ამ ომისთვის ემზადებოდა და რუსეთის ინტერესებში იყო, რაც შემდეგ მოხდა, მაგრამ კონკრეტული საბაბი სააკაშვილის ხელისუფლებამ მიაწოდა უნიჭოდ დადგმული და განხორციელებული სამხედრო ოპერაციის შედეგად. ნებისმიერ ქვეყანაში სამხედრო ოპერაციის ასეთნაირად დაგეგმვის, განხორციელებისა და კატასტროფულად დამთავრების შედეგად ხელისუფალი გადადგებოდა. ჩვენთან კი მოვლენები უნიკალურად განვითარდა, შემდგომი მოვლენების ისეთი გათამაშება მოხდა, რომ თურმე სააკაშვილის და მისი გადაწყვეტილებების გამართლება საქართველოს გადარჩენის საკითხი ყოფილა. ამის გამო მთელი სპეკულაციები წავიდა“,** — აცხადებს გოგი ხუციშვილი.

მისი თქმით, არავინ ამბობს, თითქოს, საქართველომ დაიწყო ომი, უბრალოდ, აქ საუბარია კონკრეტულ სამხედრო ოპერაციაზე, რომლის შესახებაც ქართული სოფლები გაფრთხილებულნი არ იყვნენ, მათთვის ეს მოულოდნელობა იყო და ბევრი უბედურება ამის გამო მოხდა. ამ დროს კი ცხინვალის ხელისუფლებამ გააფრთხილა თავისი სოფლები და ხალხის ევაკუაცია მოხდინა. ჩვენ კი ეს არ გავაკეთეთ იმისათვის, რომ ვითომ მოულოდნელობის ეფექტი არ დაგვერღვია. ამიტომ კონფლიქტოლოგისთვის საინტერესოა, რატომ არ მოხდა ევაკუაცია, რატომ მიატოვეს საჯარისო ნაწილები და ხალხი, რატომ ჩავარდნენ ჯარისკაცები პანიკაში, როდესაც სარდლობა იქიდან გარბოდა?! ამიტომ იგი ელის, რომ ბევრ ასეთ „საზიზღარ მოვლენაზე“ პასუხი უნდა იყოს.

**მისი თქმით, ახლა ამბობენ, რად გვინდა ახალი გამოძიება, როცა ძველმა პარლამენტმა უკვე გამოძიება ჩაატარა?! სინამდვილეში, ექსპერტი აცხადებს, რომ გამოძიება არ ჩატარებულა და ვერც ჩატარდებოდა იმ პირობებში, რა პირობებშიც არსებობდა ძველი პარლამენტი. მართალია, პაატა დავითაიამ ისეთი კითხვები დაუსვა მიხეილ სააკაშვილს, რომელზეც პრეზიდენტმა პასუხი ვერ გასცა, მაგრამ, ამის მიუხედავად, პარლამენტმა ამაზე არანაირი რეაგირება არ მოახდინა და ტაშის გრიალით გააცილეს პრეზიდენტი.**

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატი ადა მარშანია მიიჩნევს, რომ აგვისტოს ომის შესწავლა აუცილებლად უნდა მოხდეს, რადგან არავინ ენდობა პაატა დავითაიას კომისიას. რაც შეეხება ნიკა რურუას, ადა მარშანიას აზრით, იგი იმ ძალის წარმომადგენელია, რომელმაც ყველაფერი გააკეთა, რომ ეს ტერიტორიები ჩვენს მეზობელ ქვეყანას ეღიარებინა. ამდენად, ეს იყო ერთობლივი პროვოკაცია და ყველა მხარე თავის პოლიტიკას ატარებდა.

**„ამიტომ ნიკა რურუამ საერთოდ ხმა არ უნდა ამოიღოს არც ერთ თემაზე და, მით უმეტეს, ამ მეტად სახიფათო, ჩვენთვის ღვთიურ და უპირველეს თემაზე და კიდევ უფრო არ უნდა გააფუჭოს სიტუაცია. დარწმუნებული ვარ, ამ ომში როგორც რუსეთია დამნაშავე, ისე — ჩვენი ხელისუფლება და რა შუაშია აქ საქართველოს დანაშაული? ხომ არსებობენ დანაშაულებრივი ხელისუფალნი? სწორედ ასეთი ხელისუფლება გვყავდა საქართველოში ნაციონალების სახით“,** — აცხადებს ადა მარშანია.

ამასთან, მიიჩნევს, რომ აგვისტოს ომის გამოძიებით აფხაზეთისა და სამაჩაბლოს აღიარების პოლიტიკა არ გაგრძელდება. **ნაცმოძრაობა კი ყველანაირ ილეთს იყენებს, რათა გაამართლოს თავისი უმსგავსი პოლიტიკა. ამდენად, მისი აზრით, ეს ადამიანები რაც შეიძლება, მალე უნდა გავუშვათ ციხეში. ადა მარშანიასთვის ისინი ბანდის წევრები არიან და მათ პოლიტიკური განცხადებების უფლება არ აქვთ.**

**მანანა ქუთათელაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# მესამე პოლიტიკური ძალის შექმნის არეალი ყოველთვის არსებობს



**ქართულ პოლიტიკაში მესამე ძალის შექმნასთან დაკავშირებით პრემიერმა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე კომენტარი გააკეთა. ივანიშვილის თქმით, პირადად მას მესამე ძალის არსებობის დიდი სურვილი აქვს.**

მეტიც, პრემიერი აცხადებს, რომ არსებობენ პოლიტიკური პარტიები, რომლებთანაც მას ზუსტად ამ თემასთან დაკავშირებით შეხვედრები ჰქონდა. მაგალითად, სალომე ზურაბიშვილთან, ირმა ინაშვილთან და ნინო ბურჯანაძესთან.

ივანიშვილის თქმით, აუცილებელია, ახალი კონსტრუქციული პარტიების გამოცოცხლება დაიწყოს, ვინაიდან „ნაციონალური მოძრაობა" თავად ახერხებს იმას, რომ ცუდი პერსპექტივა ჰქონდეს. **„ჩვენ არ გვაშინებს რადიკალობა. მთავარია, კონსტრუქციულები იყვნენ",** — განაცხადა ივანიშვილმა.

მესაე პოლიტიკური ძალის შექმნის საკითხს გამოეხმაურა სალომე ზურაბიშვილი. მას უკვირს, რა განგაშია ატეხილი და რა კომენტარი უნდა გააკეთოს პრემიერის სრულიად გასაგებ განცხადებაზე.

**„მის გამოსვლაში არაფერი ჩემთვის გასაკვირი ან მოულოდნელი არ მომისმენია, რასაც კომენტარი სჭირდებოდეს! ის, რაც მან განაცხადა, არის ზუსტად შესატყვისი იმისი, რაც გვილაპარაკია, არც მეტი და არც ნაკლები.... ალბათ, დროც დადგა და ჩვენი მედიასივრცე უნდა მიეჩვიოს სიმართლის მოსმენას და მიხვდეს, რომ ამ მართალი სიტყვის უკან არაფერი სხვა და საიდუმლო გეგმები არ იმალება! მათ ანკესზე წამოგებას არ ვაპირებ!"** — აცხადებს სალომე ზურაბიშვილი და აოცებს „ნაცმედიისგან" მის მიმართ ბოლო დროს გამოჩენილი გადაჭარბებული ინტერესი.

მას შემდეგ, რაც პრემიერმა სალომე ზურაბიშვილთან, ირმა ინაშვილთან და ნინო ბურჯანაძესთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა, For.ge დაინტერესდა, სად არის დანარჩენი მესამე პოლიტიკური ძალის ადგილი, რომელთა შესახებაც ბიძინა ივანიშვილს ან დაავიწყდა, ან შეგნებულად არ ახსენა? საუბარია კახა კუკავას, ვალერი ხაბურძანიას, შალვა ნათელაშვილის და სხვათა შესახებ, რომლებიც მესამე ძალის სტატუსს ერგებიან.

ექსპერტი რამაზ საყვარელიძე აცხადებს, რომ **მესამე პოლიტიკური ძალის სივრცისთვის არსებული რესურსები ისეთი რამ არის, რასაც პრემიერი, ან სხვა პოლიტიკოსი არ იძლევა და ამას ხალხი განსაზღვრავს. ამ შემთხვევაში, ბიძინა ივანიშვილს, როგორც პოლიტიკოსს, უბრალოდ შეუძლია, მხოლოდ განაცხადოს, მისაღებია თუ არა მათი შემოსვლა პოლიტიკაში და რატომაა მისაღები?!**

რამაზ საყვარელიძეს ამასთან დაკავშირებით ახსენდება პრეზიდენტის ნათქვამი მისთვის მიუღებელი ადამიანების შესახებ, რომ პოლიტიკაში მათი შემოშვება თურმე არ შეიძლება, რადგან ისინი რუსეთის აგენტები ყოფილან. სააკაშვილისგან განსხვავებით, ბიძინა ივანიშვილისთვის სასურველია, კიდევ უფრო გაფართოვდეს საპარლამენტო პოლიტიკური სპექტრი. ამდენად, ამ თვალსაზრისით, პრემიერის განცხადებას რამაზ საყვარელიძე მიესალმება.

ექსპერტი პოლიტიკის საკითხებში კახა კახიშვილი მიიჩნევს, რომ **რეალურად მესამე, მეოთხე და მეხუთე ძალა აუცილებელია, მაგრამ ამ ძალის შექმნისთვის საჭირო არ არის მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის სურვილი. ამისთვის აუცილებელია იმ კანონმდებლობის დარეგულირება, რომელიც ქვეყანაში პოლიტიკურ გარემოს აუმჯობესებს და, ამავდროულად, სუბიექტებს პოლიტიკურ სივრცეში მოქმედების, დაფუძნების და საკუთარი მოღვაწეობის თანაბარ პირობებს აძლევს.**

მეტიც, კახა კახიშვილის აზრით, **ცოტა დაგვიანებულიცაა მესამე ძალაზე საუბარი მაშინ, როდესაც რეალურად ხუთი თვის განმავლობაში ჩვენ ვხედავთ, რომ დემონსტრაციულად ხდება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" გამოცხადება და ჩამოყალიბება მეორე პოლიტიკურ ძალად, რაც სხვა ძალების მარგინალიზაციის წინაპირობაა. ექსპერტის მოსაზრებით, იმისთვის, რომ ქვეყანაში შეიქმნას ძალები, რომლებიც ოპონირებას გაუწევენ ხელისუფლებას, საჭიროა ისეთი საკანონმდებლო ნორმების შემოღება, რომელიც საშუალებას მისცემს ადამიანებს, დააფუძნონ პარტია, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება, ამავდროულად, მიიღონ დაფინანსება და თანაბარ საარჩევნო პირობებში შეუდგნენ არჩევნებში მონაწილეობას.**

ამიტომ, პოლიტიკური **ექსპერტი ურჩევს ახალ ხელისუფლებას, იფიქრონ ახალ საარჩევნო კოდექსზე, სამართლიან საარჩევნო სისტემაზე, საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლიან დაკომპლექტებაზე და რაც მთავარია, საარჩევნო ბარიერის დაწევის საკითხზე პროპორციულ საარჩევნო სისტემაში, ხოლო მაჟორიტარული არჩევნების პირობებში — ბარიერის აწევას. უფრო ზუსტად, პროპორციულ სისტემაში ჩვენ გვაქვს 5 %-იანი ბარიერი, რაც ძალიან მაღალია ჩვენნაირი ქვეყნისთვის, ხოლო 30 %-იანი საარჩევნო ბარიერი გვაქვს მაჟორიტარულ სისტემაში, რაც მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლებისთვისაა მომგებიანი.**

**„ამავდროულად, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ მახინჯი კანონი არა მხოლოდ დაფუძნების, არამედ მატერიალური შემოწირულობის მიღების საშუალებას, არ აძლევს პარტიას, რაც მნიშვნელოვანია პარტიის არსებობისთვის. მეტიც, ხელოვნურად რომელიმე პარტიის გამოკვეთა არ ნიშნავს პოლიტიკური სივრცის დარეგულირებას, ხელოვნური არაფერი არ ვარგა, მით უმეტეს, პოლიტიკური სუბიექტი ან ოპონენტი. ამიტომ, თუ ივანიშვილი რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებზე იფიქრებს, კარგი იქნება, ოღონდ ეს არჩევნები უნდა ჩატარდეს მხოლოდ საარჩევნო გარემოსა და არა კოალიციის ფარგლებში. ჩვეულებრივად, ყველა სუბიექტმა, რომელიც დღეს არის პარლამენტში მოხვედრილი კოალიციიდან, ცალკე მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა",** — მიიჩნევს კახა კახიშვილი.

ამასთან, კახა კახიშვილს არ ესმის, **რას ნიშნავს ბიძინა ივანიშვილის მიერ ნახსენები კონსტრუქციული ოპოზიციური ძალა. მისთვის გასაგებია, რომ სამართლიანი კრიტიკა უნდა არსებობდეს (და არა ისეთი, რაც, ვთქვათ, ნაცმოძრაობას აქვს), მაგრამ აქვე ექსპერტს აინტერესებს, თუ ბატონ ივანიშვილს სჭირდება ისეთი ოპოზიცია, რომელიც დაასაბუთებს საკუთარ კრიტიკას, მაშინ დღეს იგი რატომ აძლიერებს ნაცმოძრაობას, როგორც ძირითად ოპონენტს და რატომ ხდება დანარჩენი პარტიების მარგინალიზაცია?!**

მარგინალიზაციაში კი ექსპერტი გულისხმობს, რომ აღნიშნული ძალებისთვის მედიასივრცე დახურულია და მხოლოდ ორ სუბიექტზეა გადანაწილებული. ამდენად, ხელოვნურად იკვეთება სურათი, როცა ორი სუბიექტი წყვეტს პოლიტიკურ საკითხებს, ან მოლაპარაკებებით, ან კოაბიტაციით.

**„დააკვირდით ინტერფრაქციულ ჯგუფს, რომელიც საარჩევნო კოდექსზე იწყებს მუშაობას. ფაქტობრივად, იქ გამოკვეთა, რომ მხოლოდ ორი პოლიტიკური სუბიექტია ძირითადი მოთამაშე, დანარჩენი პოლიტიკური სუბიექტები, უბრალოდ, მაყურებლების როლში არიან. არადა, თუ პარტიები მედიაში არ გამოჩნდნენ, საარჩევნო ბარიერი ვერ გადალახეს, დაფინანსება არ მიეცათ, მაშინ პოლიტიკური სივრცე ყოველთვის ამ ორი სუბიექტით იქნება დაკავებული. დღეს ფული აქვს მხოლოდ და მხოლოდ „ქართულ ოცნებას" და ნაცმოძრაობას. ამიტომ ეს უნდა დარეგულირდეს",** — აცხადებს კახა კახიშვილი.

ექსპერტი პოლიტიკურ საკითხებში ვანო მაჭავარიანი გაკვირვებულია, **რომელ მესამე ძალაზე საუბრობს ბიძინა ივანიშვილი?! ეს ხომ არ არის სუფთა ინსინუაცია და მარჩიელობა?!**

ექსპერტის თქმით, **ამ პიროვნებებს (სალომე ზურაბიშვილს, ირმა ინაშვილსა და ნინო ბურჯანაძეს) მანამდეც ჰქონდათ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძალად ჩამოყალიბების შესაძლებლობა, როცა თვითონ „ქართული ოცნება" იქმნებოდა. თუმცა, რეალურად, აღმოჩნდა, რომ მათ პრობლემა ჰქონდათ როგორც ორგანიზაციაში, ისე ყველასთან ურთიერთობაში, მათ შორის, - ამომრჩეველთან და მას შემდეგ არაფერი შეცვლილა.**

**ვანო მაჭავარიანი არ გამორიცხავს, რომ მესამე პოლიტიკურ ძალაზე საუბრისას, ალბათ, ბიძინა ივანიშვილმა გამოხატა მისი ჩამოყალიბების სურვილი, თუმცა ამას დრო სჭირდება და ამას საქართველოს მოქალაქეების ნება-სურვილი აჩვენებს.**

**„ეს იქნება ზუსტად ის, რასაც ხალხი გადაწყვეტს, რომ მათ სურთ ალტერნატივა იმ ორ ძირითად პოლიტიკურ ძალას შორის, რომელიც დღეს არსებობს. დანარჩენ შემთხვევაში, ეს სურვილის დონეზეა. ამასთან, ძალიან რთულია, მივხვდეთ, თუ ვინ იგულისხმა ბიძინა ივანიშვილმა რადიკალებში. ეს არ არის პოლიტიკოსის საუბარი, რასაც თვითონაც აღიარებს. უბრალოდ, იგი მთავრობის ხელმძღვანელია, რომელსაც კონკრეტული მოსაზრებები აქვს. თვითონაც ისეთი ადამიანია, რომ მის შესახებ უფრო მისი გაკეთებულის შემდეგ შეიძლება იმსჯელოს კაცმა, ვიდრე მანამდე, როცა ის ლაპარაკობს",** — აღნიშნა ვანო მაჭავარიანმა.

ზოგადად, მისი თქმით, **საპარლამენტო რესპუბლიკა და კოალიციური მთავრობა გულისხმობს მესამე, მეოთხე და მეხუთე ძალასაც. მით უფრო, რომ ახლა დაიწყო საპარლამენტო მმართველობის პრინციპი ქვეყანაში.**

**მანანა იმერლიშვილი**

---

**კოლეგის ინიციატივა**

## გთავაზობთ რუბრიკა „ფოტობრალდების" აღდგენას

**დედაქალაქში, სხვა მრავალ საკითხთან ერთად, განსაკუთრებით სამარცხვინო მდგომარეობაა ქართული ენის ნორმებისა და სანიტარიული მდგომარეობის დაცვის თვალსაზრისით, რაც განაპირობა თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურების დანაშაულებრივმა და არაადეკვატურმა დამოკიდებულებამ თავიანთი საქმიანობისადმი. ამ შემთხვევაში, პატივცემული მკითხველის ყურადღებას კონკრეტულ ფაქტებზე აღარ შევაჩერებ, რადგან მათ შესახებ, არაერთხელ გავამახვილე მერიის ე. წ. ხელმძღვანელთა ყურადღება ჩემს პუბლიკაციებში, მაგრამ ვერავითარ შედეგს (თუნდაც ფორმალურ პასუხს, ტელეფონის ზარს და ა. შ.), რომ ვერ მივაღწიე, ბოლო წერილით თბილისის „პატივცემულ" მერს შევთავაზე: „გთხოვთ გამონახოთ 2-3 საათი თავისუფალი დრო და ფეხით, ერთად გავიაროთ თბილისის რამდენიმე ქუჩაში... სადაც თქვენს ყურადღებას მივაქცევ ქართული ენის აბუჩად ამგდებ უკანონო სარეკლამო აბრებს და ქუჩების, სკვერების, სადარბაზოების, შიგა ეზოების გაუსაძლის სანიტარიულ მდგომარეობას.**

**რომ იტყვიან, მართლაც შეაყარე კედელს ცერცვი! იმის გამო, რომ მოსახლეობისა და მერიის „ხელმძღვანელობის" ტრადიციული ურთიერთობის ფორმები აღარ ჭრის, გთავაზობთ ერთ ინიციატივას, რომელიც, დარწმუნებული გახლავართ, სასიკეთოდ წაადგება ზემოთ აღნიშნული უმწვავესი პრობლემის მოგვარებას. კერძოდ, იქნებ განიხილოთ გაზეთში სპეციალური რუბრიკის „ფოტობრალდების" აღდგენის შესაძლებლობა, სადაც სისტემატურად განთავსდება სხვადასხვა ავტორთა მიერ მოწოდებული ფოტოები დედაქალაქში ამ მიმართულებით არსებულ მდგომარეობაზე. ამის შემდეგ კვარტალში ერთხელ, გაზეთის საკონკურსო ჟიური გამოავლენს გამარჯვებულ ფოტომასალას, რომელთა ავტორები დასაჩუქრდებიან სხვადასხვა ფორმით.**

**სასურველია „სრ"-ის მეშვეობით გაკეთდეს სპეციალური განცხადება, რომელიც უზრუნველყოფს ამ ინიციატივის ხორცშესხმას.**

**თუ რედაქცია საჭიროდ და გამართლებულად ჩათვლის, მზად ვარ, მონაწილეობა მივიღო ამ სასიკეთო ღონისძიებაში, ნებისმიერ ეტაპზე.**

პატივისცემით

**ანზორ ბაბუხადია,**
გაზეთ „თანადგომის" გამომცემელი,
ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი.

**P. S. თბილისის ე. წ. მერს, ჩემს მიერ გამოთქმული ზოგიერთი შეფასების მიმართ გარკვეული პროტესტი თუ გაუჩნდება, სიამოვნებით შევხვდები რედაქციაში, მრავალი მაგიდის ფორმატით და დანარჩენს უფრო კონკრეტულად და დაწვრილებით პირადად მოვახსენებ.**

**ა. ბ.**

---

**ინფორმაცია**

### მიხეილ სააკაშვილი - სახალხო მთქმელი

**განათლების მინისტრი მიხეილ სააკაშვილს სახალხო მთქმელს ამსგავსებს და აცხადებს, რომ მისი გამონათქვამების კომენტირება უჭირს.**

როგორც გიორგი მარგველაშვილმა ჟურნალისტებს საპარლამენტო უმრავლესობასთან შეხვედრის დაწყებამდე განუცხადა, სააკაშვილის განცხადებების კომენტირებით უკვე დაიღალა და ეს განსაკუთრებით მას შემდეგ უჭირს, რაც საქართველოს პრეზიდენტს ავტოკატასტროფა შეემთხვა.

— აღლუმი არის სასიხარულო დღე, ჩვენ ყველას გვახარებს ეს დღესასწაული და როგორ გამოვხატავთ ამ სიხარულს, ეს სხვა საკითხია. მთავარია, რომ ჩვენ ყველას გვეამაყება 26 მაისი. ერთადერთი 26 მაისი, რომელიც მე არ მეამაყება ეს არის 2011 წლის 26 მაისი. რატომ მაკეთებინებთ კომენტარებს სააკაშვილის განცხადებებზე, რომელიც უკვე სახალხო მთქმელია, აფორიზმებს ამბობს და მე ამ აფორიზმების გაშიფვრა ძალიან მიჭირს, — აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა რამდენიმე დღის წინათ განაცხადა, რომ 26 მაისს სამხედრო აღლუმის გამართვის აუცილებლობას ვერ ხედავს. საქართველოს პრეზიდენტმა კი, გუშინ ასეთი კომენტარი გააკეთა — „დღეს ჩვენ გვყავს მთავრობა, რომელსაც დამოუკიდებლობის აღლუმის ჩატარება ეთაკილება".

### პრეზიდენტის დაცვის სპეციალური სამსახურის შექმნა, შესაძლოა, დღის წესრიგიდან მოიხსნას

**პრეზიდენტის** დაცვის სპეციალური სამსახურის შექმნის საკითხი, შესაძლოა, დღის წესრიგიდან მოიხსნას და, შესაბამისად, გაუქმდეს „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ" კანონს დამატებული ცვლილებები, რომელიც ასეთი სამსახურის ფორმირებას ითვალისწინებს.

როგორც „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ" კანონში ცვლილებების ავტორმა, დეპუტატმა ირინა იმერლიშვილმა „ინტერპრესნიუსს" განუცხადა, პრეზიდენტს ახლა ზუსტად ის სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური იცავს, რომელიც მთავრობის დაქვემდებარებაშია და იცავს პრემიერ-მინისტრს, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს, პირებს, რომელთა დაცვასაც კანონი ითხოვს. მისივე თქმით, იმის გათვალისწინებით, რომ პრეზიდენტის დაცვის სპეციალური სამსახური შექმნილი არ არის, კანონი ირღვევა.

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ⓞ განსჯა

# დანგრეული სტატისტიკის სამსახური აღსადგენია!

**ნაციონალურმა მოძრაობამ ხელისუფლებაში მოსვლის უმალ ფაქტობრივად მოსპო სტატისტიკური სისტემა**



საყოველთაოდ ცნობილია ობიექტური სტატისტიკური ინფორმაციის მნიშვნელობა წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისათვის. ამ თვალსაზრისით ბოლო 9 წელიწადში საქართველოს ოფიციალურ (იგულისხმება სახელმწიფო) სტატისტიკაში დაგროვდა საკითხები, რომლებიც, აუცილებელ და დროულ გადაწყვეტას მოითხოვენ.

საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის კანონიდან ამოღებულია მუხლი იმის შესახებ, რომ ყველა ეკონომიკური სუბიქტი ანგარიშვალდებულია ოფიციალური სტატისტიკის ორგანოთა წინაშე. გამოდის, რომ სტატისტიკური ანგარიშების წარმოდგენა არის ნებაყოფლობითი (ასეთი რამ მსოფლიო პრაქტიკაში არ არსებობს!).

რაც შეეხება ოფიციალური სტატისტიკის **ორგანიზაციულ** მხარეს: ე.წ. „ვარდების რევოლუციის" შემდგომ პერიოდში ჯერადობით შემცირდა ოფიციალური სტატისტიკის ორგანოთა და თანამშრომელთა რაოდენობა. **პირველ** შემთხვევაში აღსანიშნავია რაიონული და საქალაქო სტატისტიკური სამმართველოების გაუქმება, რაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის დიდი სტატისტიკური სამუშაოების ხარისხიანად ჩატარებას. ქვეყნის სამომავლო დეცენტრალიზაციის კვალობაზე აუცილებლად უნდა გაძლიერდეს (სტატისტიკის შემთხვევაში ხელახლა შეიქმნას) რეგიონული და ადგილობრივი სახელმწიფო სტრუქტურები. **მეორე** შემთხვევაში, აღვნიშნავთ, რომ **„პოსტ-რევოლუციურ" პერიოდში შემცირდა თანამშრომელთა თითქმის 70% და დღეს საქართველოში 100.000 კაცზე მოდის მხოლოდ 4 სტატისტიკოსი, როდესაც მეზობელ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი აღწევს 12-16 კაცს.** ეს კი ხელს უშლის თუნდაც მცირე ინფორმაციის შეგროვებას და დამუშავებას. აუცილებელია სტატისტიკოსთა რაოდენობისა და სტატისტიკური სამუშაოების მოცულობის გონივრული პროპორცია, რაც ხელს შეუწყობს (ადეკვატური დაფინანსების პირობებში) სტატისტიკური საქმიანობის ხარისხიანად შესრულებას.

ასევე აქტუალურია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დაქვემდებარების საკითხი. **სამომავლოდ ოფიციალური სტატისტიკის მოწყობის ერთ-ერთ წინადადებად შეიძლება განვიხილოთ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბების საკითხი, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტის წინაშე, დაახლოებით ისე, როგორც ამჟამად ფუნქციონირებენ საქართველოს ეროვნული ბანკი და კონტროლის პალატა. ეს ხელს შეუწყობს მისი დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხს, რაც მნიშვნელოვნად დაკნინდა ე.წ. „ვარდების რევოლუციის" შემდგომ პერიოდში (იგი იქცა საქვეუწყებო დაწესებულებად ეკონომიკის სამინისტროს შემადგენლობაში).**

რაც შეეხება ოფიციალური სტატისტიკის მეთოდოლოგიურ-მეთოდურ მხარეს. საბაზრო ეკონომიკა სტატისტიკურად ბევრად უფრო რთული შესასწავლი რამ არის, ვიდრე ე.წ. „გეგმიური" ეკონომიკა. ეკონომიკაში გაჩნდა თვისებრივად ახალი, განსხვავებული საკუთრებითი ურთიერთობები, მეწარმე და არამეწარმე სუბიექტები, ახალი ინსტიტუტები და ორგანიზაციები, რაც მოითხოვს შესაბამის სტატისტიკურ კვლევას და ახლებურ მიდგომებს.

ცალკეა აღსანიშნავი ნაკლოვანებები, რომლებიც სტატისტიკის განვითარების კონკრეტული მიმართულებების მიხედვით შეინიშნება. **„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ" საქართველოს კანონისა და „სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულების" თანახმად სტატისტიკის ეროვნული სამსახური უკვე აღარ წარმოადგენს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოს სტატისტიკური კლასიფიკაციებისა და საკლასიფიკაციო სისტემების შემუშავების სფეროში.**

**2012 წლის იანვრიდან საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტრუქტურიდან ამოღებულია და შესაბამისად გაუქმებულია მეთოდოლოგიის სამმართველო, რომლის უშუალო ფუნქციასაც სტატისტიკის სფეროში სხვა მეთოდოლოგიური სამუშაოების განხორიელებასთან ერთად სტატისტიკური საკლასიფიკაციო სისტემის შემუშავება და დანერგვა უნდა წარმოადგენდეს.** მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით თითქმის მთლიანად იგნორირებულია, გარდა მოსახლეობის აღწერისა, სხვა სახის აღწერების, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო აღწერისა და მიკროეკონომიკური აღწერების როლი, რაც რეგიონული სტატისტიკური სამსახურების გაუქმების პირობებში რეგისტრების განახლებისა და შესაბამისად შერჩევითი სტატისტიკური კვლევების ორგანიზების ერთადერთ გზას წარმოადგენს.

სერიოზულ უკანდახევად შეიძლება ჩაითვალოს სოფლის მეურნეობის სტატისტიკაში შექმნილი მდგომარეობა. **მოქმედი კანონმდებლობიდან მთლიანად არის ამოღებული სასოფლო-სამეურნეო აღწერების ჩატარების შესაძლებლობა,** მაშინ როდესაც საქართველოს სტატისტიკის განვითარების ისტორიაში 2004 წლის პირველი და, სამწუხაროდ, უკვე ერთადერთი სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჩატარებით საქართველო არა მხოლოდ შეუერთდა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO-ს) მიერ ინიცირებული მსოფლიო სასოფლო-სამეურნეო აღწერების ციკლს, არამედ შეიმუშავა ახალი საპილოტე პროგრამა, მსოფლიო სასოფლო-სამეურნეო აღწერების ახალი ციკლის ჩასატარებლად, რომელშიც ჩადებული იყო სასურსათო უსაფრთხოების ელემენტები. **საქართველოში არ არსებობს და შესაქმნელია სადაზღვევო (განსაკუთრებით კი სოციალური დაზღვევის) სტატისტიკა, რაც შექმნის შესაძლებლობას სოციალური დაზღვევის მეშვეობით და მათ შორის ჯანმრთელობის დაცვის სისტემისადმი მოსახლეობის მისაწვდომლობის შესაფასებლად.**

ჩვენი აზრით, სტატისტიკურ მონაცემთა ხელმისაწვდომობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს ეჭვქვეშ აყენებს საქსტატის საბჭოს 2010 წლის 22 ნოემბრის N23 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ სტატისტიკური სამუშაოების ფარგლებს გარეთ დადგენილი სტატისტიკური მონაცემების გავრცელების საფასურის დამტკიცების შესახებ" განსაზღვრული საფასურის ნორმები, რომელიც ერთი მონაცემისათვის ერთი კონკრეტული პერიოდისათვის 5-7 ლარის ფარგლებში არის განსაზღვრული, რომ აღარაფერი ვთქვათ სტატისტიკურ ცხრილებსა და ექსპორტ-იმპორტის შესახებ მონაცემებზე სასაქონლო ნომენკლატურის 4-ნიშნა კოდების მიხედვით ქვეყნების ჭრილში, რომლის საფასური ერთი თვის მონაცემებზე – 50 ლარს, 2-3 თვის მონაცემებზე – 70 ლარს, 4-6 თვის მონაცემებზე – 90 ლარს, ხოლო 6-12 თვის მონაცემებზე 120 ლარს შეადგენს. საფასურების დონის დაუსაბუთებელი დადგენა აშკარა ბარიერებს ქმნის ეკონომიკური და განსაკუთრებით სამეცნიერო წრეებისათვის, რომელთა პირველადი სტატისტიკური ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობა ევროპის სტატისტიკის კანონმდებლობაში არის ჩადებული მეცნიერების განვითარებისათვის ხელშეწყობის მიზნით, რაც, ვფიქრობ, გასათვალისწინებელია საქართველოს რეალობაში. ცნობილია, რომ სტატისტიკური სამუშაოების დაფინანსების წყაროების გაფართოება ინფორმაციის გაყიდვის გზით სტატისტიკის შემოსავლების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს და განვითარებულ ქვეყნებშიც კი არ აღემატება დაფინანსების საერთო მოცულობის 30-40 პროცენტს, ვფიქრობთ, ამ პრობლემის გადაწყვეტას სტატისტიკის ეროვნული სამსახური ეტაპობრივად უნდა მიუდგეს და მაღალი საფასურების დაწესება უნდა მოხდეს არა საწყის ეტაპზე, არამედ მოსახლეობის შემოსავლების ზრდის გათვალისწინებით.

გვინდა, შევეხოთ სტატისტიკური სამუშაოების ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებას, როგორიცაა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა. ნაციონალთა ხელისუფლებამ საერთოდ გააუქმა ცალკე კანონი „მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შეხაბ", რამაც ბუნებრივია დააკნინა ამ უმნიშვნელოვანესი სტატისტიკური სამუშაოს მნიშვნელობა. გაეროს რეკომენდაციით მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ტარდება ყოველ 10 წელიწადში ერთხელ. საქართველოში მოსახლეობის ბოლო აღწერა ჩატარდა 2002 წელს, ანუ საქართველო უკვე ამოვარდა მოსახლეობის მსოფლიო აღწერების 10-წლიანი ციკლიდან. საბედნიეროდ, ქვეყნის ახალმა ხელისუფლებამ გამოასწორა და დაადგინა, რომ მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ჩატარდეს 2014 წელს.

დაბოლოს, სტატისტიკის სამსახურის შენობის შესახებ: **წინა მთავრობამ გაასხვისა სამსახურის კუთვნილი შენობა (პეკინის, 4), რაც ნათლად გამოხატავდა მის დამოკიდებულებას ამ დარგის მიმართ. დღეს სტატისტიკის სისტემის აღდგენა უნდა დაიწყოს ამ შენობის დაბრუნებით მისი კანონიერი მფლობელისათვის.**

**თეიმურაზ ბერიძე,**
**ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

## შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **მესამე აღმოსავლეთ-დასავლეთი ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტის დამატებითი დაფინანსება**

განმახორციელებელი სააგენტო: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**
ქვეყანა: საქართველო
პროექტის ნომერი: P112523

სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: **TEWHIP AF/FAUD/LCS-01**
კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: **მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების აუდიტი 2012 და 2013 წლის ფისკალური წლისთვის**
კონტრაქტის ხანგრძლივობა: 493 დღე
საკონტრაქტო ვალუტა: ლარი

**ტენდერში მონაწილე კომპანიები:**
დასახელება: შპს **Deloitte &Tuche**
მისამართი: თბილისი, ლადო ასათიანის ქ. №36ა
ქვეყანა: საქართველო
სატენდერო წინადადების ამოკითხული ფასი: 29,700 აშშ დოლარი(ნეტო)
სატენდერო წინადადების კორექტირებული ფასი: 29,700 აშშ დოლარი(ნეტო)
ტექნიკური ქულა: 81.56

დასახელება: **KPMG MOLDOVA**
მისამართი: კიშინოვი, ისმაილის ქ. №33
ქვეყანა: მოლდავეთის რესპუბლიკა
სატენდერო წინადადების ამოკითხული ფასი: 99.890 ევრო(ნეტო)
სატენდერო წინადადების კორექტირებული ფასი: 99.890 ევრო(ნეტო)
ტექნიკური ქულა: 81.24

**გამარჯვებული კომპანია**
დასახელება: შპს **Deloitte &Tuche**
მისამართი: თბილისი, ლადო ასათიანის ქ. №36ა
ქვეყანა: საქართველო
სატენდერო წინადადების ამოკითხული ფასი: 29,700 აშშ დოლარი(ნეტო)
სატენდერო წინადადების კორექტირებული ფასი: 29,700 აშშ დოლარი (neto)
ტექნიკური ქულა: 81.56
საკონტრაქტო ღირებულება: 35.046,00 აშშ დოლარი (ბრუტო)

## *Contract Award Notification*

Audit of World Bank funded projects for FY2012 and FY2013
TEWHIP AF/FAUD/LCS-01
Country: Georgia
Project Number: P112523

Bid/Contract Reference No: TEWHIP AF/FAUD/LCS-01
Scope of Contract: Audit of World Bank funded projects
Duration of Contract: 493 Days
Evaluation Currency: GEL

**Evaluated Consultant(s)/Firm:**

Name: **Deloitte &Tuche LLC**
Country: Georgia
Address: 36a Lado Asatiani str, Tbilisi
Bid price at bid opening: 29.700 USD(net)
Evaluated bid price: 29.700 USD (net)
Technical Score: 81.56

Name: **KPMG MOLDOVA**
Country: Republic of Moldova
Address: Ismail Str. 33, Chisinau
Bid price at bid opening: 99.890 EUR (net)
Evaluated bid price: 99.890 EUR (net)
Technical Score: 81.24

**Awarded Consultant(s)/Firm:**

Name: **Deloitte &Tuche LLC**
Country: Georgia
Address: 36a Lado Asatiani str, Tbilisi
Bid price at bid opening: 29.700 USD
Evaluated bid price: 29.700 USD
Technical Score: 81.56
Final Negotiated Price: 35.046,00 USD (gross)



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობა**

# იუნესკოს სწორედ ის არ მოსწონს, რომ დაიკარგა სვეტიცხოველი...

## მცხეთაში თანამედროვე არქიტექტურის ადგილი არ არის

*სულ რაღაც სამიოდე თვეში დაგეგმილ სესიაზე იუნესკო გადაწყვეტს, დარჩეს თუ არა მცხეთა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში. თუკი მცხეთაში ახალი განაშენიანება შენარჩუნდება, მცხეთას იუნესკოს ნუსხიდან ამოღება ემუქრება.*

*მეტიც, იუნესკო კატეგორიულად ითხოვს, შეწყდეს ყველანაირი მშენებლობა მცხეთის ტერიტორიაზე, სვეტიცხოვლისა და ჯვარს შორის არსებულ მონაკვეთზე, რადგან მიიჩნევს, რომ მტკვრისა და არაგვის შესართავს შორის ტერიტორია კულტურული მემკვიდრეობის ზონას ეკუთვნის და აქ თანამედროვე არქიტექტურის ადგილი არ არის. საუბარია შუშის ადმინისტრაციულ შენობებზე, მუნიციპალიტეტის ახალ შენობაზე, რომელზეც სამ მილიონნახევარი ლარი დაიხარჯა. ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის შენობამ კი საერთაშორისო კრიტიკა გამოიწვია, რადგან იუნესკოში მიიჩნევენ, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან ასე ახლოს მშენებლობების წამოწყება დაუშვებელია.*

*წინა ხელისუფლების დროს მშენებლობების დაწყებისთანავე იუნესკომ ქართულ მხარეს მოუწოდა, შეწყვეტილიყო სამუშაოები, მაგრამ შენობები მაინც აშენდა, შემდეგ უკვე დაკანონდა და ახალი საცხოვრებელი უბნებიც გაჩნდა მცხეთაში.*

*დღესდღეობით კულტურის მინისტრის მოადგილე მარინე მიზანდარი არ გამორიცხავს, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბრძანება გაუქმდეს და მცხეთაში ძველი დაცვის ზონები აღდგეს. ამასთან, მცხეთაში მშენებლობა აღარ უნდა გაგრძელდეს, რადგან ეს უკანონობა იქნება და საჭირო გახდება შენობების დემონტაჟი.*

*მცხეთის ძეგლების შესახებ For.ge არქეოლოგს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს, მცხეთის ქალაქ-მუზეუმის ყოფილ დირექტორს* ***თემურ ბიბილურს*** *ესაუბრა.*



**– არასწორი განაშენიანების გამო მცხეთას იუნესკოს ძეგლთა დაცვის ნუსხიდან ამოღება ემუქრება. კონკრეტულად, რა არ მოსწონს იუნესკოს?**

– მცხეთა მთლიანად, როგორც ქალაქი, ან როგორც ურბანული ერთეული, 1994 წელს არ შესულა იუნესკოს სიაში, არამედ შევიდა მისი ცალკეული ძეგლები – არმაზციხე-ბაგინეთი (ანუ ანტიკური ხანის სამეფო რეზიდენცია), ჯვარი, სვეტიცხოველი და სამთავრო. ეს ოთხი ერთეული შევიდა. მე იქ ცხრა წლის განმავლობაში გახლდით ქალაქ-მუზეუმის დირექტორი და წამოვედი იქიდან, მაგრამ როგორც ჩემმა ყოფილმა თანამშრომლებმა მითხრეს, 2010 წელს კორექტირება გაუკეთებიათ და არმაზციხე-ბაგინეთი ამოუღიათ იუნესკოს სიიდან. ეს ფაქტი არ გადამიმოწმებია, მაგრამ თუ ეს მართალია, მაშინ ერთ-ერთი მიზეზი იქნებოდა არასწორი განაშენიანება. 2007 წელს, ნოემბრის არჩევნების წინა პერიოდში, ფული რომ ძალიან სჭირდებოდათ ნაციონალებს, იქ ჩართული იყო მთელი ძალები – გუბერნატორი, მცხეთის იმდროინდელი გამგებელი – ყიფშიძე, ნამგალაური და სხვები. ეს ადამიანები ხელის გადაგრეხის მეთოდით გვაიძულებდნენ, ხელი მოგვეწერა თანხმობაზე, რომ არმაზციხის ქვედა ტერასები, რკინიგზამდე მთლიანად გაყიდულიყო.

**– ვისზე უნდა გაყიდულიყო?**

– არ ვიცი. ჯერ ეს გაყიდვაც სისულელე იყო, მაგრამ მაინც ამას აპირებდნენ. მაშინ პაატა გაფრინდაშვილმა და მე მოვახერხეთ, რომ წერილის უკანა მხარეს, სადაც ჩვენი ხელმოწერა უნდა გაგვეკეთებინა, დავტოვეთ ჩანართი, რომ თუ გაყიდდნენ, მხოლოდ ერთი პირობით – მყიდველის მიერ უნდა მომხდარიყო სრული არქეოლოგიური შესწავლა და ურბანული ძეგლების გამოჩენის შემთხვევაში, მათი კონსერვაცია იყო საჭირო. რეგისტრაციაში გატარებული ეს წერილი დღესაც არსებობს. წარმოიდგინეთ, რამდენიმე ათეულ ჰექტარზეა საუბარი. თუმცა, მათ არ მიაქციეს ყურადღება და ამ წერილმა გაიარა მთელი ინსტანცია.

**– ამით თქვენ ფიქრობდით, რომ ეს ადგილები არ გაიყიდებოდა და გადარჩებოდა?**

– ეს იმას ნიშნავდა, რომ, ფაქტობრივად, მყიდველი იქ ვერაფერს ააშენებდა, რადგან ათეულობით მილიონ თანხას მოითხოვდა ამის გაკეთება. მე მგონი, ვერც გაიყიდებოდა, რადგან თუ ვინმე იყიდდა, უბრალოდ, ამ ტერიტორიას ვერ გამოიყენებდა. იგივე მცდელობა ჰქონდათ 2008-ში სამთავროს ველთან მიმართებითაც და ამის გადამოწმება იოლად შეიძლება. მცხეთაში ბევრს ახსოვს ეს, მაშინდელი მუნიციპალიტეტის თუ მცხეთის მუზეუმის თანამშრომლებსაც, კულტურის სამინისტროს დღევანდელ მუშაკებსაც, მათ შორის, ზვიად ბატიაშვილს. კერძოდ, მაშინ სამთავროს დიდი მწვანე ველის გაყიდვა იყო გადაწყვეტილი. წარმოიდგინეთ, სამთავროს ტაძრის წინ მდებარე ტერიტორიაზეა საუბარი. სამთავროს მე მაინც მონასტერს არ ვუწოდებ, მიმაჩნია, რომ ეს არის მთავარი საეპისკოპოსო ტაძარი. მანდაც იგივე პროცედურა იყო. მაშინაც წერილობითი დასტური მომთხოვეს. მაშინ კულტურის მინისტრის მოადგილე იყო ვაჩეიშვილი, მის კაბინეტში ხდებოდა ეს ომი. ჯერ კიდევ მცხეთის გამგებლის რეზიდენციაში კითხვა დამისვა გამგებელმა ყიფშიძემ, დავუშვათ, გაიყიდა ეს ტერიტორია, რის აშენება შეუძლია აქ ადამიანს? არადა, ეს ტერიტორია მაშინ მკაცრი დაცვის ქვეშ იყო, რადგან აქ რამდენიმე არქეოლოგიური ზონა იყო და სამი-ოთხი ზონა იცავდა. გამეცინა და ვუთხარი, რომ ერთადერთი, რაც შეიძლება, გააკეთოს კეთილსინდისიერმა მყიდველმა, რომელსაც თქვენ მოატყუებთ, იონჯა დათესოს-თქო, კარგი იონჯა მოდის, სხვას ვერაფერს გააკეთებს-თქო. სხვათა შორის, იგივე კითხვა დაუსვამთ ზვიად ბატიაშვილისთვისაც. ზვიადმა ისე, რომ ჩვენ ერთმანეთში არ მოვლაპარაკებულვართ, უპასუხა, ერთდერთი, რაც შეუძლია გააკეთოს ახალმა მყიდველმა, ვარდები დათესოს, ლამაზიაო. არ ვიცი, გახსოვთ თუ არა, ჩოჩელი ახალი დანიშნული იყო გუბერნატორად, ყველა არხმა აჩვენა დილის სიუჟეტი ერთ კვირა დღეს, თუ როგორ რგავენ ბროწეულის ნერგებს ამ ველზე. ამ სიუჟეტმა ძალიან გვახალისა. მოგვიანებით, რომელი ნერგის წაღებაც ხალხმა ვერ მოასწრო, ისინი გახმა.

**– სამთავროს არქეოლოგიური ველი, ფაქტობრივად, სამთავროს მონასტრის გაგრძელებაა და მასაც არქეოლოგიური ზონის სტატუსი იცავს. როგორც ჩანს, ამ ადგილზე არ შემოსულა ინვესტორი და ამიტომაც დარგეს ბროწეულები?**

– როგორც ვიცი, გაყიდვას გადაურჩა ეს ადგილი და ამიტომაც დარგეს ბროწეულები. ამ ადგილების გაყიდვის საფრთხე რომ ვიგრძენით, კომპანია „სარაჯიშვილის" მეპატრონეს გუჯარ ბუბუტეიშვილს მივმართეთ. მას მცხეთაშივე აქვს რეზიდენციასავით და რესტორანი. მას ვთხოვეთ თანხები და ტრანსპორტი მოძრავი ძეგლების, ქვების გადასატანად. ზუსტად გუჯას ბაღსა და ამ დიდ მწვანე ველს შორის ერთ ღამეში ღია არქეოლოგიური პარკი შევქმენით. ამან კარგა ხანს იმუშავა, სამი-ოთხი თვე მაინც. ეს პარტიზანულად გავაკეთეთ, რაზეც მემუქრებოდა ყიფშიძე და მაშინდელი პროკურატურა. მუქარის მიუხედავად, ჩვენ ეს არ დავშალეთ, მათაც ვერ გაბედეს ხელის ხლება. როცა მივხვდი, რომ მათთან ჭიდაობა შეუძლებელი იყო, იქიდან 2008 წლის 3 იანვარს წამოვედი. მართალია, ჩემი განცხადება იდო წამოსვლის შესახებ, მაგრამ ვაჩეიშვილმა დამასწრო და მაინც გამათავისუფლა. მახსოვს, მაშინ „მაესტროზე" თამარ ჩიქოვანთან გავაკეთე გადაცემა, სადაც პირდაპირ ვთქვი, თუ რა ელოდა ამ ძეგლებს.

**– ნიკა ვაჩეიშვილს ძეგლთა დაცვის უწყება ებარა. თუ გავითვალისწინებთ, რომ საერთაშორისო კონვენციით, ძეგლი ხელშეუხებელია, მისი საქციელი რით აიხსნება?**

– მომიტევეთ, მაგრამ, რაც ბაგრატზე გაკეთდა, ზუსტად იგივე ვარიანტია. მოდით, პირდაპირ გეტყვით, სამწუხაროდ, ჩვენმა სამღვდელოებამაც, რომლებსაც უდიდეს პატივს ვცემ, ბაგრატის შემთხვევაში მაინცდამაინც დადებითი როლი არ შეასრულა. რას ნიშნავს, ბაგრატი უნდა აღდგეს და იქ წირვა-ლოცვა გაიმართოს?! თუ გახსოვთ, ღალიას მონასტერი კვიპროსზე, 2009 წელს მისი გათხრების მეორე ეტაპი რომ დასრულდა და გათხრები მაღალ დონეზე ჩატარდა, სიუჟეტი გავიდა „იმედზე" კვიპროსიდან, ნიქოზიიდან, სადაც ჩვენი მხრიდან წარმოდგენილნი იყვნენ ნიკა ვაჩეიშვილი, პაატა გაფრინდაშვილი, რომელიც მაშინ ნიკას მოადგილე იყო, ერთ-ერთი მეუფე და იქითა მხრიდან იყო წარმოდგენილი უმაღლესი კომისარი, ანუ ჩვენებურად რომ ვთქვათ, კულტურის მინისტრი და იქაური ქალაქის მერი. ძალიან კარგი საუბარი შედგა და როგორც კი საქმე საქმეზე მიდგა, ჩვენებმა თქვეს (მე მგონი, სამღვდელო პირმა თქვა ამის შესახებ), რომ აქ ჩატარდება აღდგენითი სამუშაოები და შემდეგ უნდა განახლდეს სამონასტრო ცხოვრება, მათ სახეები შეეცვალათ და კატეგორიულად გვითხრეს, თუკი სამონასტრო ცხოვრება გინდათ, გვერდზე გამოგიყოფთ ტერიტორიას, გაჩუქებთ და იქ ააშენეთ, რაც გინდათ, მაგრამ ეს დარჩება დაკონსერვებული ძეგლადო. ე.ი. ბერძენი ამბობს, რომ ქართული ძეგლი მათ ტერიტორიაზე ძეგლად დარჩება. ამ დროს კი ჩვენს ტერიტორიაზე მდებარე უმნიშვნელოვანესი, საეტაპო მნიშვნელობის ძეგლი რიგით ნაგებობად ვაქციეთ.

**– მართალია, ეს ხდებოდა ვაჩეიშვილის დროს, თუმცა, ამბობენ, რომ ასეთი ბრძანებები პირველი პირისგან მოდიოდა. ვაჩეიშვილს შეეძლო, მას წინ აღდგომოდა?**

– მას შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია, პოზიცია საჯაროდ დაეფიქსირებინა და როგორც ბევრმა ნორმალურმა ხალხმა გააკეთა, წამოსულიყო სამსახურიდან. რომ გითხრათ, ნიკა ვაჩეიშვილი არაკომპეტენტურია-მეთქი, ასე არ არის, თავის ვიწრო სპეციალობაში კომპეტენცია აქვს, მაგრამ უფრო უარესი, ის კომფორმისტია. კაცი, რომელიც წავიდა დათმობებზე, მან ვერ გაუძლო ზეწოლას, სკამის, თანამდებობის ცდუნებას.

**– წლების წინათ აქტიურად საუბრობდნენ, რომ მცხეთაში აპირებდნენ კაზინოების აშენებას.**

– რატომღაც ასეთნაირად გავრცელდა. უბრალოდ, ბადრი პატარკაციშვილის ინიციატივით, მცხეთა უნდა გადაექციათ სანიმუშო ქალაქად და იგი ავტონომიური მართვის საერო ქალაქი უნდა ყოფილიყო. ეს იყო საპატრიარქოს იდეის საპირისპირო, მაშინ „24 საათში" გამოქვეყნდა ანონიმური პროექტი – მცხეთის საეკლესიო სტატუსის შესახებ და ამან მღელვარება გამოიწვია. ცხონებული შარაძე იმ დროს ეკლესიის მხარეს იჭერდა, იმ დროს სვეტიცხოვლის წინამძღვარი იყო ზენონი იარაჯული, რომელიც ახლა ინგლისშია. აქეთ მხარეს აღმოვჩნდით ჩვენ, დანარჩენები. ეს იყო ღიად დაპირისპირებული ბრძოლა. ნათია უზნაძე მაშინ დამწყები ჟურნალისტი იყო და გურამ შარაძე მას ეკითხებოდა, თქვენ იცით, რომ აქ დიდი სტადიონი (და არა კაზინო) უნდა აშენდესო? მცხეთაში მართლაც უნდა აშენებულიყო ოლიმპიური ტიპის დიდი სტადიონი 30 ათას კაცზე. ვიციო – მიუგო ჟურნალისტმა. მერე მოგწონთო? ჟურნალისტს გაუკვირდა, რატომ არ უნდა მოსწონებოდა სტადიონის აშენება?! გურამ შარაძემ კი უთხრა, წარმოიდგინეთ, ჩვენი ნაკრები თამაშობს, მოუგო მოწინააღმდეგეს და 30 ათასი კაცი რომ ტაშს დაუკრავს, წირვა-ლოცვას ხელს შეუშლისო. ეს იყო აბსურდი, ისევე, როგორც მცხეთაში თურმე ნიჩბოსნობა არ შეიძლებოდა, რადგან სპორტულ ტრუსებში ქალებს და კაცებს არ უნდა ევლოთ. არადა, მცხეთაში ყოველთვის იყო კარგი ოლიმპიური სანიჩბოსნო სკოლა. ამიტომ ეს ვიღაცამ ააგორა, რომ თურმე, ბადრის და მავანთ უნდოდათ, კაზინოების ქალაქად ექციათ მცხეთა.

**– ფაქტია, რომ დღეს სვეტიცხოვლის აღქმა გართულებულია, რადგან გარშემო ლანდშაფტში არაერთი ნაგებობა იკითხება, რაც მცხეთას ავთენტურობას აკარგვინებს.**

– კოლონების რაღაც უბედურება რომ გააკეთეს, ტურისტული საინფორმაციო ცენტრის სახით, ეს შენობა კოლონების გარეშე არსებობდა. 2000 წელს და უფრო გვიან პერიოდში ეს შენობა იყო აგურის, უპრეტენზიო, უსახური, მაგრამ ხელის არშემშლელი ერთსართულიანი ნაგებობა, რომელიც მცხეთის აღორძინებისა და განვითარების ფონდმა, გია შაიშმელაშვილმა ააგო. 2001 წელს, მუზეუმის დირექტორად რომ მივედი, ეს შენობა გადმოსცეს მუზეუმს და იქ გავაკეთეთ კარგი საგამოფენო სივრცე და სალონი. შემდეგ ჩვენ ეს წაგვართვეს და გადასცეს ეკლესიას. ასე რომ, ეს შენობა არსებობდა, უბრალოდ, მას შეუცვალეს იერ-სახე, ფსევდონაგებობა, იდიოტური რამ გააკეთეს, რამაც დაუკარგა იქაურობას ავთენტურობა.

**– მაგრამ ამ შენობის გარდა, გარშემო დასახლებებიცაა, ამ სახლების ნაწილი ახალი აშენებულია?**

– გარშემო სახლების 90% ისევ ისე არსებობს, როგორც იყო. სახლებში ძირითადად იგივე მცხეთელები ცხოვრობენ, ვისაც პირადად ვიცნობდი. უბრალოდ, ამ სახლებს დაუმატეს აივნები. მცხეთის ვითომ რეკონსტრუქცია, უფრო ზუსტად კი, სვეტიცხოვლის მიმდებარე ტერიტორიის „გაფუჭება" რომ დაიწყო, მათ არაფერი ჰკითხეს და მცხეთის სიღნაღიზაცია მოახდინეს – მიაშენეს აივნები, გადახურეს კრამიტით. შიგნიდან ინტერიერი არ გაუკეთებიათ, უბრალოდ, ფასადური რეკონსტრუქცია მოახდინეს.

**– იუნესკოს სწორედ ეს არ მოსწონს, რადგან დაიკარგა სვეტიცხოველი.**

– რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ 2005 წელს კახა ტრაპაიძე იყო დეპარტამენტის თავმჯდომარე, რომელიც ხმალამოღებული იბრძოდა სვეტიცხოვლის ეზოში, გალავანში ჩაშენებულ კელიებში ევრორემონტების და მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრების წინააღმდეგ, რაც კატეგორიულად მიუღებელია. სულ ახლახან „რუსთავი-2"-ში აჩვენეს კადრები, თუ როგორი იყო მცხეთა რეკონსტრუქციამდე და ამის დასტურად მე-19 საუკუნის ერმაკოვის ფოტო გვიჩვენეს. ირონიით იყო ნათქვამი, ნუთუ ისეთივე უნდა ყოფილიყო ახლაცო?! არადა, ასეთი იყო თუ არა მცხეთა, ყოველ შემთხვევაში, ისეთი ნამდვილად არ ყოფილა, როგორიც დღეს



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

არის. იმავე სიუჟეტში ჩემმა კოლეგამ გოდერძი ნარიმანაშვილმა აღნიშნა, აქ გათხრები ჩატარდაო, მე-3-4 საუკუნის ფენები იყოო. სვეტიცხოვლის წინ, მოედანზე მართლაც ჩატარდა გათხრები, მე-4-5 საუკუნის ფენები ამოვთხარეთ, ნაქალაქარის ტერიტორია იყო, გაითხარა ქუჩებიც, სახლები, წმინდა ნინოს მთელი ეპოქა, მარნები და ა.შ. ეს კომუნისტების დროს ხდებოდა 1985 წელს. იმ დროს ცხონებულმა ანდრია აფაქიძემ, ირაკლი ციციშვილმა და სხვებმა დააყენეს საკითხი, რომ ეს დაკონსერვებულიყო და ენახა ხალხს. მართალია, კომუნისტებს ფული ჰქონდათ, მაგრამ არ ვიცი, რის გამო, უარი თქვეს ამაზე. შემდეგ ეს ყველა მეთოდის დაცვით დაკონსერვდა. საკონსერვაციო ფენის აღება კი ყოველთვის შეიძლება. თქვენ წარმოიდგინეთ, რამხელა ემოციური დატვირთვა იქნებოდა, სვეტიცხოველში რომ შესულიყავით მე-4-5 საუკუნის ქუჩით?! მით უმეტეს, ეს წარუშლელი შთაბეჭდილება იქნებოდა მომლოცველისა და ტურისტისთვის. ამაზე წერილობით რამდენჯერმე მივმართე მუნიციპალიტეტსაც, კულტურის სამინისტროსაც, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ეს გაეკეთებინათ, მთლიანად ბეტონით დაფარეს ყველაფერი. ვიდრე შეხვიდოდით სვეტიცხოვლის კარიბჭეში, იქ ქალების რიგი იყო, რაღაცას ყიდდნენ და მათ უკან მოჩანდა მწვანე ზოლი, ეგ ზოლი მთლიანად იყო ნაქალაქარის ერთი ნაწილი. რა თქმა უნდა, ესეც მოსპეს და ჩააბეტონეს. ცხადია, ესეც არ მოეწონა იუნესკოს. გარდა ამისა, „რუსთავი 2“-ის სიუჟეტში ნაჭაობარი ადგილი გვანახეს, ერთი მცხეთელი ვიცანი, ამბობდა, აქამდე ჩვენ აქ კოღოები გვსპობდნენო. ეს მართლია, მაგრამ, იცით, ჭაობი იქ საიდან გაჩნდა? ჯერ კიდევ კომუნისტების დროს, ჟინვალჰესის აშენებისას, არაგვი რომ გადაკეტეს, მაშინ მდინარის ნაკალაპოტარში გაჩნდა ჭაობიანი ადგილი, რომლის ამოშრობაც თანდათანობით მიმდინარეობდა. ქალაქის ურბანული თუ სამშენებლო ნაგავი ფენა-ფენა იყრებოდა, მერე მიწა ეყრებოდა და იქმნებოდა ახალი ზოლი, დაახლოებით ისეთივე მეთოდით, როგორც ჰოლანდიაში კეთდება სანაპირო ზოლი. ყველაფერი იმ კონდიციამდე იყო მისული, რომ გარკვეული დროის შემდეგ მართლაც შეიძლებოდა სანაპირო ზოლის ან სხვა რამის გაკეთება. ახლა კი ჭაობიან და ტენიან ადგილას მათ ააგეს ნაგებობები – მუნიციპალიტეტის შენობა, რეესტრის შენობა. ეს ქვედა ზონაში ხდება.

თუ გავითვალისწინებთ, 2007 წლიდან რა ტემპითა და მეთოდიკის დარღვევით შენდებოდა ეს შენობები, რაც გორის მაგალითმაც აჩვენა, წარმომიდგენია, ამ შენობებს რა დაემართება ორ-სამ წელიწადში. ის, რაც დაემართა პარლამენტს ქუთაისში და იმ ადამიანების მდგომარეობა, ვინც აქ იმუშავებს, სახიფათოა, რადგან ეს ნაჭაობარ ადგილზეა აშენებული.

მცხეთის მუზეუმის შენობა 2012 წელს გაიყიდა, დღევანდელი მუზეუმის დირექტორს, ჩემს ყოფილ მოადგილეს მაისურაძეს, ამაზე ხმა არ ამოუღია. ამ დროს სხვა ამაზე განგაშის ზარს ჩამოკრავდა. მე ძველი, გასარემონტებელი შენობა დავტოვე, ახლა კი ის გაიყიდა და წყალკანალმა იყიდა. ასე რომ, მცხეთაში მუზეუმი არ ფუნქციონირებს, მუზეუმი ტაფაზე დადეს და შეაგდეს ყოფილი გარემოს დაცვის სახლში და გამოუყვეს სამი ოთახი.

**– მცხეთასთან დაკავშირებით ამჯერად იუნესკოსთან მოლაპარაკებები დაგვიანებულია?**

– არმაზციხე-ბაგინეთის ნუსხიდან ამოღებაზე ვერაფერს გეტყვით. რაც შეეხება ამ ნუსხიდან სხვა ძეგლების ამოღებას, სამთავროს ჯერ კიდევ არაფერი ემუქრება, ჯვარსაც მეტ-ნაკლებად არაფერი ემუქრება, თუმცა, ზოგადად, საფრთხე ჯვარსაც ემუქრება, რადგან ჯვარი და სვეტიცხოველი ერთ ზონაში ხვდებიან თვალსაწიერს. სვეტიცხოველი განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია, თუ ის მაინც არ მოანგრიეს, რასაც შესასვლელთან ვხედავთ, უდაოდ ამორიცხავენ ამ ტაძარს სიიდან. ამიტომ უნდა მოინგრეს კოლონებიანი უბადრუკობა. მით უმეტეს, რამდენიმე ნაგებობაზე აბსოლუტურად არამცხეთური, არაქართლური აივნები მიაშენეს და ამით იკარგება სვეტიცხოველი. არადა, ძეგლი განმხოლოებულად არ აღიქმება. არქეოლოგია ლანდშაფტში ჩაწერილი ერთეულია.

**მანანა ნოზაძე**

# ფიქრები მზია ჩხეტიანის „ჟუტუნია ხის“ გამო

## საიდან მოდის სილამაზე...

**შეკითხვაზე, „რა არის პოეზია?“ მზია ჩხეტიანი უპასუხებს: ამას თვითონაც ვეკითხები ხოლმე ჩემს თავსო და ლექსსაც იშველიებს: „ნეტავი ამ მკვლელს რა ჰქვია? რა უღვთოდ საღვთო ცეცხლი? მეტაფორების მაგია, რითმის ბროლი და ვერცხლი... გაჰკვესავს, ჟრჟოლად დაგიარს, ელვის ნაპერწკლებს გესვრის“...** ამ სტრიქონებში შესანატრი სიზუსტით არის გამოხატული პოეზიის ჭეშმარიტი არსი. ხაზგასასმელია, რომ მისი ლექსები ყოველთვის ძლიერი ემოციური მუხტით გამოირჩევა. „საიდან მოდის სილამაზე და საით მიდის?“-რატომღაც ლეონიძის „ნატვრის ხე“ გამახსენდა... თუმცა, რაღა „რატომღაც!“ – „ჟუტუნია ხის“ კითხვისას სწორედ სილამაზემ... პოეტური მეტყველების სილამაზემ მომხიბლა! საოცრად ღრმა და ტევადია ეს დახვეწილი სისადავით გადმოცემული თრთოლვა ავტორის სულისა, ძალაუნებურად მკითხველსაც რომ გადაედება. მზია ჩხეტიანი ჭეშმარიტი პოეტია მაშინაც, როცა ლექსებს წერს და მაშინაც, როცა პროზას ჰქმნის!-

პოეტი ქალის მოთხრობები გამოირჩევა თვალშისაცემი ლირიზმით, რაც მის ორიგინალურ ხედვასა და ხელწერას ფრიად თვალსაჩინო ელფერით წარმოგვიდგენს.

მოთხრობებისა და ლექსების ეს კრებული ეძღვნება მოსწავლე ახალგაზრდობას და გარეკანის მეორე გვერდიდანვე იპყრობს მკითხველს შთამბეჭდავი შეგონებით:„თუ ფესვი წმიდაა, მაშ – რტოც! ხოლო თუ რომელიმე რტო გადატყდა, დაემყენ მის ადგილას და ნუ იამპარტავნებ! – იცოდე, შენ კი არ გიკავია ფესვი, არამედ ფესვს უკავიხარ შენ...„პავლე მოციქულის ამ სიტყვებმა, ჭეშმარიტი მწერლის ალღოთი რომ მოუხმია ავტორს საინტერესოდ გააზრებულ ანოტაციაში, შეუძლებელია, გულგრილი დაგტოვოს...ჩვენმა მოზარდებმა და ახალგაზრდებმა უნდა წაიკითხონ ეს წიგნი! აქ ყველაფერი საგულისხმო და ყურადსაღებია. წიგნის რედაქტორს – მარიამ წიკლაურს დავესესხები: „სიყვარულის მადლით, წინაპრისადმი მოწიწების მადლით, ღვთის მადლითაა სავსე აქაურობა“...

დიახ, მზია ჩხეტიანის ეს წიგნი თამამი და გაბედული გახლავთ! ამის თვალსაჩინო ნიმუშია პატარა მოთხრობა – „დედის ცრემლები – ანუ წიქარას ზღაპარი მოზრდილთათვის“ – უმძიმესი ტრაგედია ნიჭიერი ახალგაზრდა კაცისა, ქვეყანაში შექმნილი საშინელი ყოფისა და უსულგულო ადამიანთა განუკითხაობის წყალობით რომ ფსიქიურად დაავადებულა. ცხადია, ჩვენი რეალობის ამ უმწვავეს სატკივარს (განსაკუთრებით – 90-ინ წლებში!) გვერდს ვერ აუვლიდა ჭეშმარიტი მწერალი, მით უფრო – ხალხის წიაღიდან გამოსული პოეტი ქალი, ხელში მითიური არიადნას გორგალი რომ შესწყდომია წუთისოფლის ურთულეს ლაბირინთებში წყვეტებისას... „მომშლუის ლაბირინთიდან გავეშებული ხარი – სული ეჭვებში მბორგავი, სისხლის ყივილი ხაფი და არიადნას გორგალი, ხელში შემწყდარი ძაფით...“

„ჟუტუნია ხე“ სქელტანიანი კრებული არ გახლავთ, მაგრამ ტევადი და მრავლისმთქმელია. არც ვიცი, რაზე შევჩერდე. თუმცა... ეს არის წიგნი სიხარულის ძიებასა და ბედნიერებისაკენ სწრაფვაზე. ბედნიერება კი მის ცნობიერებაში, მამა-ბიძის ომიდან დაბრუნებაზე ოცნების ახდენასთან იყო გაიგივებული.ეს ოცნება სამუდამო, მოურჩენელ ტკივილად ექცა.

ცნობილია, რომ ბედნიერებისკენ ყველა ისწრაფვის. ის კი მუდამ შორს არის, მირაჟივით... რაც უფრო უახლოვდები, მით უფრო გშორდება. ასაკში რომ შეხვალ, მერე ხვდები, რომ ბედნიერი მაშინ ყოფილხარ, როცა ახალგაზრდა და იმედებით აღსავსე იყავი; როცა შენიანები ცოცხლები გყავდნენ: „კარგა ხანია, აქ ჩემს მოსვლას არავინ ელის...გასვლიათ ყავლი ძველ ღობეში ჩაწნულ იელებს, მოშლილ ყორესთან აყალყული დგას შავი გველი და მიტოვებულ ეზო-ყურეს ათვალიერებს...“ასეა, დაკარგულ ბედნიერებაზე მერეღა ფიქრობ, გარდასულ ბავშვობასა და ახალგაზრდობაზე, გარდაცვლილ ახლობლებზე ნოსტალგია რომ მოგეძალება; იმ მიკროსამყაროს რომ მოისაკლისებ, რომლის წიაღშიაც მშობლიური კუთხის სიყვარული გააცნობიერე; სიყვარული, მერე რომ მთელი საქართველოს სიყვარულში გადაიზარდა და განზოგადდა. ამ სიყვარულზეა „ჟუტუნია ხეც“ – სიმბოლური სახე მარად მიუწვდომელი ბედნიერებისა....ბავშვები აყვავებულ ჟუტუნია ხეს ვერ უახლოვდებოდნენ, თოვლჭყაპიან ღელეზე ვერ გადადიოდნენ; მერე კი, რომ დათბებოდა, ჟუტუნიები იქ აღარ ისხდნენ.მათი კვალიც აღარსად ჩანდა...„ეტყობა, ჩუმად დაფრთიანდნენ და გაფრინდნენ“ – ამბობდა ბაბუა და ბავშვებსაც სჯეროდათ...და თქვენ წარმოიდგინეთ, ავტორიც კი, ახლაც, ზრდასრულობაში, ამ ამბებს რომ იხსენებს, ბავშვური გულუბრყვილობით ამბობს, „ვინ იცის, იქნებ მართლა მიფრინავდნენ სადმეო... „ამ გულუბრყვილო რწმენაში არის რაღაც იდუმალი და ლამაზი, ლურჯი ჩიტივით რომ მოგელანდება და უცბად გასხლტება. ამიტომაც, ბუნებრივია, ეს ფრაზაც გაგახსენდეს, – „საიდან მოდის სილამაზე და სად მიდის?“ ალბათ, სილამაზიდან – სილამაზეში... როგორც მარიტას სილამაზე - ნაღვერდალივით მოელვარე ბროწეულის ყვავილში. ამ წიგნის სილამაზე კი პოეტის სულიდან მოდის და სიყვარულის მშვენიერებითა და დიდებულებით მადლმოსილ ლექსებში ღაღადებს. მაშ სხვა რა და როგორ უნდა ითქვას მზია ჩხეტიანის ლექსებზე: „ღელის ზღაპარი“, „ფურისულა“, „და ავტირდები“, „მონატრება“, „ხატები, დედის ნაამბორები“, „რა ცეცხლი“, „არ დაივიწყო“ და სხვადასხვა...ასეთივე მონატრებისა და სინანულის გრძნობით არის დაწერილი მშვენიერი ლექსები წასულ პოეტებზე – შოთა ნიშნიანიძეზე, ოთარ ჭილაძეზე, დავით მჭედლურზე.



მზია ჩხეტიანი ჩვენი დროის ჭეშმარიტი შვილია და საკუთარი ხალხის ცხოვრებით ცხოვრობს; მას არც ცხრა აპრილის ტრაგედია დავიწყნია, არც – აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დატრიალებული უბედურებანი. მინდა, საგანგებოდ გადავუხადო მადლობა მას ჩვენი უმადური დროის „გმირთა“ მიერ უსამართლოდ და მიზანმიმართულად მივიწყებული ეროვნული გმირების – ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ხსოვნისადმი მიძღვნილი მშვენიერი ლექსისთვის „დამაფარონ დროშები“.

ცალკე უნდა აღინიშნოს პოეტის ბრწყინვალე ლირიკა, რომლითაც ის არც ერთ პოეტს ტოლს არ დაუდებს... „ნუშის ყვავილობა“, „ამჯერად“, „ხე რად არ ვიყავ“, „წიფლის ხე“, „დრო გვედგა სიყვარულისა“, „მტრედს ვხედავ“, „ადამ, ო, ევა, ევა“ და სხვადასხვა... ეს მშვენიერი, ფიქრისა და სევდის ამშლელი სტრიქონები ნათლად წარმოაჩენს პოეტის სულიერ სამყაროს. პოეტს ბევრი რამ უკარგავს მოსვენებას: აუწყობელი და მოუწყობელი ყოფა, ჭრელი და დაუნდობელი წუთისოფელი. სევდა, რომელიც თან სდევს ამ საოცარ, დიდი განცდით დაწერილ ლექსებს, მკითხველის სულსაც აფორიაქებს. არ ვიცი, რამდენად და როგორ მოვახერხე,რაც გულით მინდოდა მეთქვა, რომ გამეხარებინა სიხარულის მაძიებელი პოეტი ქალბატონი. ის ამას ნამდვილად იმსახურებს! მართლაც რომ საჭიროა დღეს ასეთი წიგნების გამოცემა, ახალგაზრდების სწორ გზაზე დაყენების მიზნით, რათა ჩვენი სინამდვილის მღვრიე ტალღებმა არ ჩაითრიოს ისინი და „ჟუტუნია ხის“ მთავარი პერსონაჟის – ჯუბიას მსგავსად სიხარულს იქ არ დაუწყონ ძებნა, „საცა არცა ხამს და ვერც იპოვნიან...“ დიახ, ქალბატონი მზია ამ წიგნით მათ გადარჩენის ჭეშმარიტ გზას უჩვენებს – სამშობლოსა და მშობელი ხალხის სიყვარულითა და ერთგულებით მსახურებას, ჩვენი ეროვნული სულის გადარჩენასა და შენარჩუნებას. არა – მრუდე, არამედ – სწორი, მართალი გზებით სიარულს. გარეკანის მესამე გვერდზე, წიგნის დასასრულ დაბეჭდილი მშვენიერი ლექსიც, კომპოზიციურად რომ კრავს ამ უაღრესად საინტერესოდ გააზრებულ და შედგენილ კრებულს, სწორედ ამაზე მიანიშნებს: „მადლობა უფალს! – რაც არის, არის! შენც ხომ გეფინა ნათელი მთვარის! ხომ გინათებდა გზა-სავალს მზეც და წვიმამაც ბევრჯერ მოგისწრო გზაში... ბავშვის აკვანიც ხომ გედგა? – გედგა! და – სიყვარულის ნათელიც, თვალში! რაც არის, არის... დიდება ღმერთს და მის მადლთან ჩვენი გულების კავშირს!“ დიახ, ცხოვრება რთულია... ყოველთვის როდი გვანებივრებს! მაგრამ ისე უნდა ვიცხოვროთ, ღვთისა და კაცის წინაშე მართალნი ვიყოთ, ასეთია პოეტის კრედო, რაც, ვფიქრობ, სრული სისავსით გამოიხატა „ჟუტუნია ხეში“...

ჩვენ კი, ჩვენს ერთ-ერთ გამორჩეულ პოეტ ქალბატონს ჯანმრთელობას ვუსურვებთ, რომ კვლავაც გაგვახაროს ასეთი ბრწყინვალე ლექსებითა და მოთხრობებით.

**ლეილა მირიანაშვილი,**
**ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ეთნოგრაფი**

# მკითხველის სამადლობელი

**მზია ჩხეტიანი ლიტერატურაში პოეზიით შემოვიდა და მკითხველს თავი საბავშვო ლექსებით დაამახსოვრა. თუმცა, არც სადიდო ლექსებზე ამბობდა უარს. მისი ყოველი ახალი წიგნი მშობელი ქვეყნის სიყვარულით იყო გამთბარი და მკითხველსაც ამ სიყვარულით ზრდიდა. აღიარებამაც არ დააყოვნა: დღეს იგი რამდენიმე სოლიდური კონკურსის ლაურეატია.**

ხომ ასე „გაიწაფა“, როგორც თავისი თაობის ერთ-ერთი პირველხარისხოვანი შემოქმედი, ჩემთვის მაინც სასიამოვნო მოულოდნელობა გახლდათ მოთხრობა „დოროთეა, ჩემო ფრთამოტეხილო ჩიტო“, რომელიც ათიოდე წლის წინათ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გამოქვეყნდა. მოულოდნელობა იყო იმიტომ, რომ... პროზიდან პოეზიაში „გადაბარგებული“ მწერალი უფრო მეტი მახსოვს, ვიდრე – პირიქით! ამას, ალბათ, აქვს თავისი მიზეზი. მთავარია, ნიჭი რის საშუალებას გაძლევს... ყოველ შემთხვევაში იმაზე ნაკლებად ფასეული არაფერი უნდა შექმნა, რითიც დაიწყე, რაშიც ხელი გაიწაფე და მკითხველს თავი დაამახსოვრე. საბედნიეროდ, ცდამ სავსებით გაამართლა. პოეტი მზია ჩხეტიანი წარმოგვიდგა, როგორც ჩამოყალიბებული, ცხოვრების ყოფით თემებზე დაფიქრებული სერიოზული პროზაიკოსი: იგი კალამს ორივე ჟანრში თანაბარი სიძლიერით ფლობს.

ჩემს ამ შეხედულებას, გნებავთ, ვარაუდს, საფუძვლიანად ადასტურებს გამომცემლობა „ეთნოპოლიტიკის“ მიერ დასტამბული სოლიდური მოცულობის წიგნი „ჟუტუნია ხე“, რომელშიც ავტორს ლექსებიც შეუტანია და – მოთხრობებიც. ამით იგი, თითქოს, გვაქეზებს, ა, ბატონო, დააჭაშნიკეთ და დაადგინეთ, როგორც პოეტი უფრო ძლიერი ვარ თუ – როგორც პროზაიკოსიო. ეს დასკვნა, ჩემო მშვენიერო ქალბატონო, დაე, კრიტიკოსებმა გააკეთონ, მე კი, როგორც ერთ რიგით ლიტერატორს, მიმაჩნია, რომ შენი ლექსიც და მოთხრობაც ღირსეულად ავსებს ქართული მწერლობის სალაროს, რომ ამ ერთობ შენაცრისფერებული ჟამისთვის დამახასიათებელ განსაკუთრებით ტკბილ-მწარე რეალობასთან ასე ოსტატურად მისადაგებული ლირიკაც გვჭირდება.

უნდა გამოგიტყდეთ: ჩემს ბავშვობაში მეც მქონდა ჩემი „ჟუტუნია ხე“. ალბათ, სხვა სახელს ვეძახდი, თორემ ნამდვილად რომ მქონდა, ნაღდია“: სწორედ მისი დახმარებით ვაშენებდი იმედის ლამაზ სახლს. სხვანაირად ვერც მე შევძლებდი ამდენი უბედურების გადატანას, ქალბატონო მზია, ცხოვრებამ ასე უხვად რომ დაგვაბერტყა თავზე! აბა, როგორ არ გითხრა მადლობა, ჩემი სათქმელიც ასე გულიანად რომ გამოხატე: „ბედი არის თუ – ბედობა, თუ – უბედობა, სრული, სულ წყვეტებაში მხდებოდა და არც ამომხდა სული! მაგრამ კვლავაც ის ტალღა ვარ, ბროლსაც დაგაყრი ხორკლად – საწუთრომ, თუმცა, დამღალა, ჯერ ხომ მაინც ვერ მომკლა!“

რა დროს სიკვდილია, ჩემო მშვენიერო ქალბატონო, ჯერ კიდევ ახალ-ახალი სიმაღლეები გეძახის. ისე, ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ამ ფრიად საჭირო, მაღალმხატვრული და იმედის მომგვრელი ლექსებისა და მოთხრობებისათვის, უშურველად მოგანიჭებდი კიდევ ერთ ლიტერატურულ პრემიას! და რადგან არ მჯერა, რომ თემიდა უღმერთოდ თვლემს, იქნებ, ერთხელაც, სამართალმა პური ჭამოს?! და ერთიც: ჩემო ძვირფასო მკითხველო, დამავიწყდა, მეკითხა: გაქვთ „ჟუტუნია ხე“? თუ არა გაქვთ, არ ვიცი, რა გზებით, მაგრამ უეჭველად უნდა შეიძინოთ, თუ გნებავთ დიდსა და მშვენიერ პოეტურ სევდას ეზიაროთ.

**ელგუჯა ლებანიძე,**
**თებერვალი, 2013**

**მზია ჩხეტიანი**

## მადლობა უფალს!

მტრით თუ მოკეთით
ხვიდოდი შენც და
საწყენ — სალხენიც
მრავალი შეგხვდა.
ვინ იტყვის... თუნდა
ასი წლის შემდეგ,
რომ მოქალაქე
არ შედგა შენგან?
მადლობა უფალს!
რაც არის, არის...
შენც ხომ გეფინა
ნათელი მთვარის!
ხომ გინათებდა
გზა-სავალს
მზეც და
წვიმამაც ბევრჯერ
მოგისწრო გზაში...
ბავშვის აკვანიც
ხომ გედგა?
— გედგა!
და სიყვარულის
ნათელიც —
თვალში!
რაც არის, არის...
დიდება ღმერთს და
მის მადლთან
ჩვენი გულების
კავშირს!

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „ქართულმა ოცნებამ“ სააკაშვილს უკანასკნელი აღლუმი ჩამოართვა

**საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს სამხედრო მარშს სახალხო სეირნობა არჩიეს**

„ქართულმა ოცნებამ“ წაართვა მიხეილ სააკაშვილს შესაძლებლობა მიიღოს უკანასკნელი სამხედრო აღლუმი პრეზიდენტისა და უმაღლესი მთავარსარდლის რანგში. „საქართველო — ეს არ არის ის ქვეყანა, რომელმაც უნდა მოახდინოს სამხედრო ძალის დემონსტრირება“, — განმარტა თავისი გადაწყვეტილება — შეცვალოს აღლუმი სახალხო სეირნობით 26 მაისს თბილისსა და სხვა ქალაქებში დამოუკიდებლობის დღეს — პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა. მთავრობის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება მას ერთპიროვნულად არ მიუღია, იგი ეთათბირა მინისტრთა კაბინეტისა და „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს წევრებს.

„ქართული ოცნებიდან“ პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ზვიად ძიძიგურმა ჩვენს გაზეთს განუცხადა, რომ „დამოუკიდებლობის დღის დღესასწაულის კონცეფცია მთლიანად უნდა შეიცვალოს“.

— არ არის საჭირო, აქცენტი სამხედრო აღლუმზე გავაკეთოთ. ვის გავაკვირვებთ მსოფლიოში ჩვენი ძალით ანდა რა დიდი გამარჯვებები უნდა აღვნიშნოთ? — თქვა მან.

ამ დროს 26 მაისს, როგორც თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია გვპირდებოდა, „შთამბეჭდავი და ლამაზი დღესასწაულის დროს იქნება სამხედრო კომპონენტიც“. ჯერ კიდევ არ არის დაზუსტებული თუ, კერძოდ, რა იქნებოდა ეს — სამხედრო სალუტი თუ საქართველოს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ნიმუშების დემონსტრაცია. საქართველოს თავდაცვის სამინისტროში გათვითცნობიერებულმა წყარომ ჩვენს გაზეთს განუცხადა, რომ „სამხედრო აღლუმი რუსთაველის პროსპექტზე 26 მაისს ერთმნიშვნელოვნად არ იქნება“. მისი სიტყვებით, სამხედროებს სურთ ზეიმი მოაწყონ ცალკეული ნაწილების ტერიტორიებზე. დეტალებს დღესასწაულისთვის მზადებასთან დაკავშირებით, პრემიერის მითითებით განიხილავს სპეციალური უწყებათაშორისი კომისია.

ცხადია, რომ საზეიმო მარში რუსთაველის პროსპექტზე არის, როგორც მსხვერპლი პოლიტიკური რეალიებისთვის. „ქართულმა ოცნებამ“ არ ისურვა, რომ არმიას მისალმებოდა სააკაშვილი და პირიქით. საქართველოს პრეზიდენტმა მთავრობისგან მიიღო დამამცირებელი პოლიტიკური სილა, ვინაიდან მთელმა ქვეყანამ იცის მისი სიყვარული ამგვარი საზეიმო ღონისძიებებისადმი.

სააკაშვილის პარტიამ „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ბრალი დასდო კაბინეტს შურისძიებაში, რაც გამოიხატა პრეზიდენტისა და სახელმწიფოს სიმბოლოებისადმი უპატივცემლო დამოკიდებულებაში.

დეპუტატმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ დავით დარჩიაშვილმა გვითხრა, რომ „ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა სამხედრო აღლუმი, აქვს დიდი მნიშვნელობა სახელმწიფოებრიობისთვის“.

თავად პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ, როდესაც უარს ამბობს სამხედრო აღლუმზე, საქართველოს მთავრობა „ფეხქვეშ თელავს ქართული არმიის ღირსებას“ და ამით „კოზირს აძლევს ოკუპანტს“ — ასე ეძახიან რუსეთს საქართველოში 2008 წლის ომის შემდეგ.

— სამხედრო აღლუმის მოწყობის ტრადიცია თბილისის ცენტრში მოძველდა. განსაკუთრებით, რაც 2007 წლის 7 ნოემბრისა და 2011 წლის 26 მაისის შემდეგ აქ ხელისუფლება მკაცრად გაუსწორდა ოპოზიციის მიტინგებს, — განუცხადა ჩვენს გაზეთს ქართული სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალის „არსენალის“ მთავარმა რედაქტორმა ირაკლი ალადაშვილმა.

ამას გარდა, მისი სიტყვებით, არის ეკონომიკური მიზეზებიც სამხედრო აღლუმის მოწყობის წინააღმდეგ.

— რა საჭიროა ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოვიტანოთ დედაქალაქში სამხედრო ტექნიკა, გადავკეტოთ მისი ცენტრი, განა უკეთესი არ არის მოვაწყოთ საზეიმო მარში სამხედრო ბაზაზე ვაზიანში თბილისის მახლობლად, სადაც არის აეროდრომიც. იქ ვერც დაჯავშნული ტექნიკა დააზიანებს ასფალტს, თვითმფრინავები და შვეულმფრენები კი შეძლებენ იფრინონ დაბალ სიმაღლეზე, — მიაჩნია მას.

ექვსი წლის წინათ თბილისის თავზე აღლუმის დროს ლამის შეეჯახა ერთმანეთს ორი სამხედრო შვეულმფრენი. მხოლოდ სასწაულმა გვიხსნა მაშინ ტრაგედიისგან.

1993 წელს პირდაპირ საზეიმო მარშიდან სამხედროები გაეშურნენ ფრონტზე აფხაზეთში, რომლებიც შემდეგ შეაჩერეს კიდეც 1993 წლის სექტემბერში. ედუარდ შევარდნაძის დროს, რომელმაც პოსტი 2003 წელს დატოვა, უკანასკნელი ექვსი წელიწადი აღლუმები არ ჩატარებულა — არ იყო ამისთვის სახსრები ბიუჯეტში. 2004 წელს, როდესაც საქართველოს ჩაუდგა სათავეში, სააკაშვილმა დააბრუნა ტრადიცია. 2006 წელს აღლუმზე არნახული თანხა დაიხარჯა — 8 მილიონ დოლარზე მეტი. პროსპექტზე მარშით გაიარა 18,5 ათასმა სამხედრომ და რეზერვისტმა. ყველაზე ძვირადღირებულ წარმოდგენად კი იქცა ქართველი მფრინავების საჩვენებელი ფრენები 9 თვითმფრინავსა და 33 შვეულმფრენზე.

2012 წლის 26 მაისს აღლუმი ქუთაისში გაიმართა, თბილისში კი უბრალოდ აჩვენეს სამხედრო ტექნიკა, რომელიც წარმოებული იყო ადგილობრივი „დიდგორისა“ და „ლაზიკას“ მიერ.

ИЗВЕСТИЯ



## დედამიწის ზურგზე

### აშშ-ში იმას, ვინც აღმოაჩენს სპილოს მკვლელს, ელოდება ჯილდო 33 ათასი დოლარის ოდენობით



ფედერალური მნიშვნელობის დანაშაული მოხდა რამდენიმე დღის წინათ. 39 წლის ცირკის აზიური დედალი სპილო სახელად კეროლი, იდგა ბაკში, როდესაც მიმავალი ავტომობილიდან ესროლეს. აზიური სპილოები ისედაც გაქრობის პირას არიან.

### ლიბანის ქალაქის მერის ყანაში გაიზარდა სტაფილო, რომლის სიგრძეც 130 სანტიმეტრია



თავად ახმედ იბრაჰიმმა აღიარა, რომ მისი საგაზაფხულო მოსავლის უდიდესი ნაწილი სტაფილოა, რომელთა სიგრძეც 60 სანტიმეტრს აჭარბებს. ეს მას დიდად არ ახარებს, ვინაიდან პროდუქციის რეალიზაციას ბაზარზე ის ძნელად რომ შეძლებს. ამგვარი აგრარული კაზუსები ლიბანში ხშირად გვხვდება, აღნიშნავენ დამკვირვებლები.

### თურქეთის პოლიცია: ტერორისტები რუსეთიდან და ყოფილი სსრ კავშირიდან ამზადებდნენ აშშ-ის საელჩოს და სინაგოგის აფეთქებას



ტერორისტული აქტები უნდა განხორციელებულიყო ჯერ კიდევ თებერვალში, მაგრამ თურქეთის პოლიციამ შეძლო გაჰყოლოდა მათ კვალს და დაეკავებინა ბოევიკები, რომელთა შორისაც აღმოჩნდნენ 8 თურქი, 2 აზერბაიჯანელი და 2 ჩეჩენი. მათი სამიზნე იყო ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო, სინაგოგა, მუზეუმი და ცნობილი თურქი მოღვაწეები.

### „ნასას“ ზონდმა მარსზე აღმოაჩინა საბჭოთა აპარატი, რომელიც დაჯდა 40 წელზე მეტი ხნის წინათ



ავტომატურმა სადგურმა „მარსი-3“ მარსისკენ სტარტი 1971 წლის 29 მაისს აიღო. 2 დეკემბერს დასაჯდომი მოდული შევიდა პლანეტის ატმოსფეროში და იქ რბილი დაჯდომა განახორციელა — პირველი ისტორიაში და ერთადერთი საბჭოთა სამარსო პროგრამაში. ზონდმა დაიწყო ინფორმაციის გადმოცემა, მაგრამ 14,5 წამის შემდეგ კავშირი გაწყდა.

### ბელგიის ხელისუფლება სერიოზულად არის შეშფოთებული სირიაში ომში ახალგაზრდა თანამოქალაქეთა წასვლის პრობლემით



ბელგიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, დაქირავებულთა საერთო ოდენობა ამ ევროპული ქვეყნიდან უკვე 200 კაცზე მეტია, მათ შორის არიან არასრულწლოვანებიც. ამ ომში ბელგიის 20-მდე მოქალაქე დაიღუპა. ინფორმატორი საუბრობდა იმის შესახებ, თუ ვინ მიდის: ესენი არიან არა მხოლოდ რადიკალები, არამედ იდეალისტებიც.

### ჩილეში მოსწავლეებისა და სტუდენტების მანიფესტაციას მშვიდობით არ ჩაუვლია: დაიჭრა 8 პოლიციელი



სპეცნაზის კაპიტანი დაზიანდა მჟავისგან ფეხებში. უწესრიგობანი დაიწყო, როდესაც 150 ათას დემონსტრანტს შეუერთდა ახალგაზრდების ჯგუფი, რომლებსაც სახეზე შემოხვეული ჰქონდათ ნაჭრები. მათ დაიწყეს ქვების სროლა წესრიგის დამცველთა მისამართით. დააკავეს 109 კაცი.

### ამერიკელმა კონგრესმენმა „საიდუმლო“ მოხსნა მონაცემებს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ბირთვული იარაღის შესახებ. პენტაგონმა სასწრაფოდ დაიწყო განმარტება



დუგ ლამბორნმა წაიკითხა ამონარიდი ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის სამმართველოს მოხსენებიდან, რომელშიც ამტკიცებდნენ, რომ ჩრდილოეთმა კორეამ უკვე დაამუშავა ბირთვული იარაღი. მაგრამ პენტაგონში ანგარიში მიიჩნიეს არაკორექტულად, სეულში კი ეჭვი შეიტანეს იმაში, რომ ბირთვული ჭურვი, თუ იგი ნამდვილად არსებობს, შეიძლებოდა მოეთავსებინათ რაკეტაზე.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## არის ასეთი აზრიც



# პროტესტი რიყეზე, რეიგანის ძეგლთან,

## ანუ, მართლაცდა, მერე რა მოხდა?!

**მე აქ უწინარესად მოვედი არა როგორც ჟურნალისტი, არამედ, როგორც ერთი რიგითი ქართველი, 2 შვილის მამა და 3 შვილიშვილის ბაბუა, რათა ჩემი პირადი პროტესტი გამოვხატო პირადად ბიძინა ივანიშვილის უპირველესი დაპირების, ე.წ. სამართლიანობის აღდგენის არ/ვერ აღსრულების გამო, რაც უპირველესად ე.წ. დასავლეთის, „დამსახურებაა“!**

**მაშ რატომ მაინცდამაინც აქ, აშშ-ის ადმინისტრაციის მარადიულ სიმბოლოსთან საქართველოში და არა, ვთქვათ, რომელიმე დასავლეთის ქვეყნის საელჩოსთან თბილისში?**

**რატომ და, გუშინ ვამბობდით ლენინს და ვგულისხმობდით პარტიას, ვამბობდით პარტიას და ვგულისხმობდით ლენინს! დღეს კი — ვამბობთ დასავლეთს, ვგულისხმობთ ამერიკას, ვამბობთ ამერიკას და ვგულისხმობთ დასავლეთს!..**

ისე გამოდის, ამერიკის ელჩის უკითხავად სიზმარიც ველარ გვინახავს ქართველებს, ერთი ფულიღა გვაკლია, რიჩარდ ნორლანდის სახელზე მოჭრილი, ასეა ჩვენი საქმე — კოჰაბიტაცია და აგერ ახლა უკვე ჰარმონიაო, ყველაფერი ამერიკიდან არის „შემოგდებული“, რაც, სხვას ყველაფერს თავი რომც დავანებოთ, ელემენტარულად ქართველი ერის, საქართველოში მოსახლე სხვა ერების შეურაცხყოფაა!

ახლა ცოტა რამ იმ „სხვა ყველაფერზე“, რასაც თავს ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავანებებთ, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ იმას, რაც უკვე ითქვა და, მით უმეტეს, იმასაც, რასაც ქვემოთ ვიტყვი, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა გაიზიარებს.

ბატონო ბიძინა! თქვენ არაერთხელ განგიცხადებიათ არჩევნებამდე, რომ **ეკონომიკის აღდგენა თუ ზოგადად, სოციალური პრობლემების მოგვარება გარკვეულ დროსა და ფინანსებს მოითხოვს, ხოლო სამართლიანობის აღდგენას, მხოლოდ პოლიტიკური ნება სჭირდება და ამიტომ მყისიერად აღვადგენთო!**

1 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა ამიტომ მისცა ხმა თქვენს კოალიციას და არა ხიზილალიანი ბუტერბროდის მოლოდინში! აგერ უკვე 6 თვე გავიდა და ეს დაპირება დაპირებად რჩება — უფრო მეტიც, **იმის მაგივრად, რომ, აგრეთვე დაპირებისამებრ, ვადაგასული სააკაშვილის იმპიჩმენტის პროცედურა დაეწყოთ პარლამენტში, რასაც ამავე მოთხოვნით მილიონზე მეტი ხელმოწერაც დამატებით უმაგრებდა ზურგს, თქვენ ჩვეული გულწრფელობით წამოგცდათ, რომ ამას ამერიკელები ვერ გაგვიგებენ და ამიტომ უარს ვამბობთ იმპიჩმენტზეო!**

რა არის ეს, ბატონო ბიძინა, თუ არა ამერიკელების მიერ ქართველი ხალხისთვის სილის გაწვნა? კიდევ ვიმეორებ, ოღონდ სხვა კუთხით — 1 ოქტომბერს ჩვენ ხმა თქვენ მოგეცით და არა რესპუბლიკურ პარტიას, მით უმეტეს, რესპების ამერიკელი პატრონის რიჩარდ ნორლანდისთვის არ მიგვიცია ხმა, რომელიც უკვე ყველა ზღვარს გადავიდა და ახლა ნაცებთან ჰარმონიას ითხოვს!..

ბატონო ბიძინა! თქვენი ავტორიტეტის გამო ავირჩიეთ ქართველებმა რესპუბლიკური პარტია პარლამენტში. პარტია, რომელიც, რომ არა თქვენი დაჟინება, როგორც უსარკოდ ყურებს, ისე ვერ იხილავდა პარლამენტს, მაგრამ ჩვენ ერთი იმედი გვიჭიატებდა, რომ რესპუბლიკელები, როგორც ანტურაჟი, ისე გჭირდებოდათ დასავლეთის მხარდაჭერის მოსაპოვებლად. მაგრამ რეალურად დღეს რესპები მართავენ პარლამენტსაც და აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც გაიდგეს ფესვები.

მოულოდნელად, საეჭვო დროსა და ვითარებაში, წამოიწია ჯავახეთში სომხური ენისთვის რეგიონალური სტატუსის მინიჭების, ბათუმში მეჩეთის მშენებლობის, მესხეთელი თურქების ჩამოსახლების, თბილისში ჩინური ქალაქის მშენებლობის თემებმა! თემებმა, რომელთა ასე აშკარად წამოწევას თვით მანქურთი ნაცებიც ვერ ბედავდნენ, **ნებსით თუ უნებლიეთ, პირიქით, თქვენ ხომ არ შეასრულეთ რესპებისათვის ანტურაჟის როლი ქართველი საზოგადოების თვალში, რათა პოლიტიკური მორგიდან, სადაც ბალზამირებაღა აკლდათ რესპუბლიკელებს, საქართველოს პარლამენტში საკვანძო პოსტები დაეკავებინათ?**

**მისტერ ნორლანდ! თქვენი რომელიმე პრეზიდენტი 10 თვით კი არა, 10 წუთით ზედმეტად რომ გაჩერებულიყო თეთრ სახლში, ამერიკელი ხალხი დაუშვებდა? მაშ რა ნამუსით გვიკრძალავთ ქართველებს უზურპატორი სააკაშვილის იმპიჩმენტს? ხალხი დარწმუნებულია, რომ თქვენი უშუალო მეცადინეობით დაუწერეს ნაცებს ის არარსებული 40 %, რითიც წარმოდგენილი არიან ისინი პარლამენტში, ამგვარად, თუ ადრე თავად ნაცები ნიშნავდნენ საკუთარ ოპოზიციად სატელიტ პარტიებს, ახლა თქვენ ქართველ ხალხს დაუნიშნეთ ოპოზიცია საძულველი ნაცების სახით!** თქვენთვის, ამერიკელებისთვის, ვინმეს გარედან რომ მოეწოდებინა კომუნისტებთან კოჰაბიტაცია, რომელთაც მაკარტიზმის დროს მხოლოდ პარტიულობის გამო, ანუ პოლიტიკური ნიშნით დევნიდით, ან უარესი, მაფიასთან: ჯენოვეზესთან, ალ კაპონესთან, ლაკი ლუჩანოსთან ჰარმონიაში ყოფნისკენ იძულება, არ იქნებოდა ამერიკელი ხალხის შეურაცხყოფა?

**მაშ რატომ გვაძალებთ მიშა სააკაშვილთან, ვანო მერაბიშვილთან, ახალაიებთან, ბოკერიებთან და ა.შ. სხვა მაფიოზებთან კოჰაბიტაცია-ჰარმონიას? რა, ნაციონალური მოძრაობა თავისი არსით ორგანიზებული დამნაშავეების, ანუ მაფიოზური მმართველობა არ იყო?**

ზემოთ ჩამოთვლილი ამერიკელი მაფიოზები ხომ ნაცებთან შედარებით უცოდველი კრავები არიან? რადგანაც ნაცები არა მხოლოდ მაფიის კლასიკურ მეთოდებს, მკვლელობას, რეკეტს, ადამიანების გატაცებას, დაშინებას, შანტაჟს და ა.შ. იყენებდნენ პრაქტიკაში, არამედ ნახევარი საქართველო ციხეებში გამოამწყვდიეს და ცოცხებით გააუპატიურეს!

**მაშ ვისთან კოჰაბიტაცია და ჰარმონია, მისტერ ნორლანდ! მეცოცხე სადისტებთან!**

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, თავს უფლებას ვაძლევ, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის სახელით განვაცხადო **არავითარი კოჰაბიტაცია-ჰარმონია სადისტ-მკვლელებთან!** უპირობოდ და უმკაცრესად უნდა დაისაჯონ ფაშისტური რეჟიმის შემქმნელი ფიურერი სააკაშვილი და მისი ხელქვეითი რაიხსფიურერები, **ხოლო ნაციონალური მოძრაობა უნდა გასამართლდეს, როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაცია და სამუდამოდ უნდა აეკრძალოს პოლიტიკური საქმიანობა!**

ესაა ქართველი ხალხის უზენაესი ნება და ამ ნებას წინ ვერავინ აღუდგება, მისტერ ნორლანდ!

აქვე ვაცხადებ, რომ ეს აქცია მიმართულია არა ამერიკელი ხალხის წინააღმდეგ, არამედ მხოლოდ მათ იმ პოლიტიკურ ხელმძღვანელებს ვუცხადებ პროტესტს, რომელთა ბოლო ათწლეულის მანძილზე უპასუხისმგებლო ქმედებების შედეგად, არ გაგიკვირდეთ და, ძალიან იმძლავრა საქართველოში ანტიამერიკულმა განწყობებმა, **საქართველოში, რომელიც, კომუნისტური დროიდან მოყოლებული, ვიდრე სააკაშვილის ფაშისტურ რეჟიმამდე, ყველაზე მეტად პროამერიკულად განწყობილი ქვეყანა იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში!**

**დავით მხეიძე**

**P. S. საქართველო ხომ ის ქვეყანაა, სადაც დიდების მემორიალს აფეთქებენ, მაგრამ მერე რა მოხდა? სადაც დავით აღმაშენებლის ძეგლს თბილისის ცენტრიდან გააძევებენ, მაგრამ მერე რა მოხდა? სადაც გორში სტალინის მონუმენტს დაამხობენ, დარჩენილ ბიუსტებს „კრასკავენ,“ მაგრამ მერე რა მოხდა? სადაც ზვიად გამსახურდიას სანაპიროს ჰეიდარ ალიევისად გადააკეთებენ, მელაანის ქუჩას კი ჯორჯ ბუშის სახელს დაარქმევენ, მაგრამ მერე რა მოხდა? და აგერ სულ ახლა, კაცობის, რაინდობის, ქართველობის სიმბოლო დოდო აბაშიძის ძეგლს შეურაცხყოფენ, მაგრამ მერე რა მოხდა?**

**ჰოდა, თუ ასეა, რონალდ რეიგანს ცოცხზე თუ გავსვამ, მართლაც, მერე და რა მოხდა?**

**P. P. S. დოდო აბაშიძის შეურაცხყოფით გამწარებული, რეიგანის შეღებვას ვაპირებდი, მაგრამ შემდეგ გადავიფიქრე, რადგანაც ზედმეტად ბანალურად მომეჩვენა ამის გაკეთება. თანაც ის „ახრანნიკი“ ყმაწვილიც დავინდე, ვინძლო, სამსახურიდან არ გააგდონ-მეთქი, თორემ ღმერთია მოწამე, თეთრსაღებავიანი ბალონი ჯიბეში მედო — თუმცა, ვინ იცის, იქნებ არც ცოცხის გამო გადაუსვამენ თავზე ხელს და თუ მაინც გაგაგდებენ სამსახურიდან, მოდი და, რითიც შევძლებ დაგეხმარები, შვილო, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რაც ბოლოს მითხარი, ყველაფერში გეთანხმები ბიძიაო!**

**დ. მ.**

## დანიშვნა

# შემოქმედის აღიარება

**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მთავარი მხატვრის თანამდებობაზე დაინიშნა გამოჩენილი ქართველი მხატვარი თეიმურაზ მურვანიძე.**

თეიმურაზ მურვანიძე არის საქართველოს სახალხო მხატვარი, სახელმწიფო და საერთაშორისო პრემიების ლაურეატი, რუსეთის სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსი, თბილისისა და დუბლინის საპატიო მოქალაქე.

იგი არის მრავალი ჯილდოს, პრემიისა თუ ორდენის მფლობელი, მათ შორის, ბულგარეთის უმაღლესი ჯილდოს — კირილესა და მეთოდეს ორდენის, პიკასოს პრემიის, ლინკოლნ-ცენტრის პრემიის, ჩიკაგოს პრემიისა და ოქროს მედლის, ვანკუვერის მუსიკალური თეატრების ფესტივალის ოქროს მედლის და პირველი პრემიის მფლობელი.

1965 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია, მისმა შემოქმედებამ და განვლილმა პროფესიულმა გზამ დაამტკიცა, რომ იგი არის თავისი მასწავლებლების — ფარნაოზ ლაპიაშვილის, სოლიკო ვირსალაძის, სერგო ქობულაძის, ვასილ შუხაევის ღირსეული მოსწავლე და მათი საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებელი. თეიმურაზ მურვანიძე არაერთგზის დასახელდა წლის საუკეთესო მხატვრად სხვადასხვა ქვეყანაში: 1963 წელს — საქართველოში, 1977 წელს — პოლონეთში, 1986 წელს — კანადაში, 1987 წელს — საფრანგეთში,1989 წელს — ამერიკაში.



თეიმურაზ მურვანიძეს გამართული აქვს პერსონალური გამოფენები ლონდონში, ნიუ-იორკში, სანკტ-პეტერბურგში, პარიზში და ა.შ.

მხატვრის ნამუშევრები ინახება მსოფლიოს პრესტიჟულ კერძო კოლექციებში, მათ შორის, ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის რონალდ რეიგანის, ინგლისის პრინცესა მარგარეტის კოლექციებში, კენედების ოჯახის საგვარეულო კოლექციაში, ამერიკის კინოაკადემიის - „ოსკარის“ ოფისში. სალვადორ დალის მუზეუმის მუდმივ კოლექციაში პაბლო პიკასოს, ჟან კოქტოს, ჯორჯიო ბეკირიკოს ნამუშევრების გვერდით თავად სალვადორ დალის თანხმობით შეტანილია თეიმურაზ მურვანიძის ნამუშევრები.

1986 წლიდან არის სანკტ-პეტერბურგის მარინის თეატრის მთავარი მხატვარი. 1990 წელს იგი გახდა მონტე-კარლოში ფირმა „სამი კარაველას“ დირექტორატის წევრი, მთავარი მხატვარი. ფირმის დირექტორატის წევრებს შორის იყვნენ: ფირმის პრეზიდენტი იეგუდი მენუხინი, მუსიკალური ხელმძღვანელი მსტისლავ როსტროპოვიჩი, დირიჟორები: ლორინ მააზელი, ზუბინ მეტა, სერ ჯორჯ შოლტი, ჟორჟ პრეტრი, ტენორი პლასიდო დომინგო, ბარიტონი რუჯერო რაიმონდი. ფირმა, რომლის საქმიანობა ეძღვნებოდა ქრისტეფორე კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის 500 წლისთავს და ამერიკის ევანგელიზაციას, სამი წლის ფუნქციონირების მანძილზე ახორციელებდა ბრწყინვალე დადგმებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. ამ ფირმის პარალელურად მხატვარი მონტე-კარლოში აქტიურად მოღვაწეობდა კიდევ ერთ ფირმაში — „ძველი და ახალი მონტე-კარლო“, რომელიც ითვალისწინებდა მონტე-კარლოში სხვადასხვა სანახაობის და ღონისძიების დადგმას, მხატვრულ გაფორმებას და კულტურის პოლიტიკის ორიენტირების განსაზღვრას.

თეიმურაზ მურვანიძეს გაფორმებული აქვს 150-მდე მუსიკალური სპექტაკლი საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. მრავალი ღირსშესანიშნავი მუსიკალური დადგმა განახორციელა რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, სომხეთში, თურქეთში, იტალიაში, პოლონეთსა და საფრანგეთში.

თეიმურაზ მურვანიძე სამართლიანად არის აღიარებული სოლიკო ვირსალაძის სტილის გამგრძელებლად. იგი მუდამ ცდილობს არ გამეორდეს და ყოველ ახალ მუსიკალურ კომპოზიციას შესაბამისი, მხოლოდ მისთვის გააზრებული ორიგინალური, ფერადოვანი სამყარო მიუსადაგოს, რამეთუ ხელოვნების კანონებს ეწინააღმდეგება ახალი მუსიკალურ-სცენური წარმოდგენის გააზრება ძველი მხატვრულ-სახეობრივი კატეგორიებით. ამიტომაც, თეიმურაზ მურვანიძის სტილი მუდმივად ცვალებადია, განახლებადია და ის არ დაიყვანება ერთ რომელიმე მხატვრულ სტილურ კლიშეზე.

**ზურაბ ოიკაშვილი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ნიჩბოსნობა



# ტრადიციულად — უხვი ნადავლით

**ქართველი ნიჩბოსნები სისტემატურად მონაწილეობენ მინგეჩაურის რეგატაში აზერბაიჯანის პრეზიდენტის თასზე და შინ ხშირად უხვი ნადავლითაც ბრუნდებიან. იმის მიუხედავად, რომ ამჯერად მასპინძლებთან ერთად რუსეთის, უკრაინისა და თურქეთის უძლიერესი სპორტსმენები მონაწილეობდნენ, ჩვენებურებმა 13 ჯილდო დაიმსახურეს, მათ შორის — ხუთი ოქროსი.** კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ აკადემიურ ნიჩბოსნობაში 1999-2000 წლებში დაბადებულთა შორის ფარნაოზ კაპანაძე (მცხეთა) ერთადგილიანი ნავით 1000 მეტრზე და 18-წლიანებში ერთადგილიანი ნავით არჩილ ბაიაშვილი (ორი პირველი ადგილი); 17 წლის ბაიაშვილთან (მცხეთა) ერთად 18-წლიანებში ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავით 2000 მეტრზე გიორგი კანთელაძემ (ქუთაისი) მეორე ადგილი დაიკავა: 0,1 წამით ჩამორჩა მასპინძლებს — როიალ მამედოვსა და ბაბეკ აბასოვს. ამავე დისტანციაზე ოთხადგილიანი ნავით, ასევე, ვერცხლის მედალი დაიმსახურა ფოთელთა კვარტეტმა. 23-წლიანებში 15 წლის მცხეთელმა ანი გვილავამ ერთადგილიანი ნავით 2000 მეტრზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

კანოისტთა ასპარეზობაში ორი მედალი (თითო ოქრო და ბრინჯაო) ხვდა საქართველოს ნაკრების წევრ ზაზა ნადირაძეს (მცხეთა). სამი მედლით (სამივე სინჯის) გაიმდიდრა პირადი კოლექცია თბილისელმა გიორგი ელბაქიძემ ერთადგილიანი ბაიდარათი 18-წლიანებში. ამავე ასაკში დუშელ გიორგი შაბურიშვილს კანოეთი ორი ბრინჯაო ერგო.

მცხეთელი ნიჩბოსნები — ანი გვილავა და არჩილ ბაიაშვილი 24-28 მაისს მინსკში 18-წლამდელთა ევროპის პირველობაზე გამოვლენ, მერე კი ლიტვაში, ამავე ასაკში, მსოფლიოს პირველობაზე იასპარეზებენ. ამ ბოლო ტურნირზე 2014 წლის ჭაბუკთა ოლიმპიური თამაშების საგზურებიც გათამაშდება.

**ლექსო ცინცაძე**

## წყალბურთი



# ხუთი მეტოქე და ორი საგზური

**წლეულს 9 მაისიდან თბილისის საწყლოსნო კომპლექსი „ოლიმპიკი“ ჭაბუკ წყალბურთელთა ევროპის პირველობის შესარჩევ ტურნირს უმასპინძლებს. B ჯგუფში საქართველო, სლოვაკეთი, გერმანია, მოლდოვა და ჰოლანდია ფინალური ეტაპის ორი საგზურისთვის იბრძოლებენ. დასკვნითი რაუნდი 8-15 სექტემბერს მალტაზე გაიმართება. ფინალის კიდევ 6 საგზურისთვის დანარჩენ ჯგუფებში ითამაშებენ:**

A **ჯგუფი** (გორჟოვი, პოლონეთი): საფრანგეთი, ბელარუსი, პოლონეთი, ირლანდია, ისრაელი.

C **ჯგუფი** (სტამბოლი, თურქეთი): რუსეთი, ბულგარეთი, თურქეთი, დიდი ბრიტანეთი, შვეიცარია.

D **ჯგუფი** (ვიდნო, ჩერნოგორია): ჩერნოგორია, სლოვენია, უკრაინა, ჩეხეთი, ბელგია.

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები (გიორგი გაბადაძე, ანდრია ბითაძე, რევაზ იმნაიშვილი, ხვიჩა ჯახაია, ბექა ჭოლოკავა, ირაკლი რაზმაძე, ზუკა ჩიკვაიძე, გიორგი ზაქარეიშვილი, დათო რევია, ირაკლი მარგველაშვილი, გიორგი მაგრაქველიძე, ლევან მოსეშვილი, ლუკა ჯანჯღავა) მთავარი მწვრთნელის — იოვან პოპოვიჩისა და მწვრთნელ ირაკლი ბაქრაძის ხელმძღვანელობით ამჟამად სერბეთში ორკვირიან საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფება. 26-28 აპრილს „ოლიმპიკში“ ჩვენი ბიჭები ნოდარ გვახარიას თასზე ისრაელის, ჩეხეთისა და ყაზახეთის წარმომადგენლებთან მოსინჯავენ ძალებს.

**გივი გაგუა**

## ეროვნული თასი

# ფინალის ზღურბლთან



**„მიხეილ მესხის სტადიონის მედიაცენტრში დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის გათამაშების ნახევარფინალური ეტაპის კენჭისყრა მოეწყო, რომლის მიხედვითაც რუსთავის „მეტალურგი“ თბილისის „დინამოს“ შეხვდება, საჩხერის „ჩიხურა“ კი — ბოლნისის „სიონს.“ საստარტო მატჩები პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე გაიმართება 23 აპრილს, საპასუხო კი — 8 მაისს.**

**მანუჩარ გიორგაძე**

## ფეხბურთი

# წილი ნაყარია

**გუშინ შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბბინაში ევროტურნირების ნახევარფინალისტთა კენჭისყრა მოეწყო, რომელმაც მეტოქენი ასე დააწყვილა:**




**ჩემპიონთა ლიგა**

**(23-24 აპრილი, 30 აპრილი — 1 მაისი).**

**„ბაიერნი“ — „ბარსელონა“,**
**„ბორუსია“ — „რეალი“.**

**ევროპის ლიგა**

**(25 აპრილი, 2 მაისი)**

**„ბაზელი“ — „ჩელსი“, „ფენერბახჩე“ — „ბენფიკა“.**

**გიორგი შოთაძე**

## „ლელო“ 14.000

# რეკორდსმენი გაზეთი




**დღეს, 13 აპრილს, 79 წელი შესრულდა იმ დღიდან, რაც სამზეოზე გამოვიდა პირველი ქართული სპორტულ გაზეთი, რომელიც იმთავითვე იყო, არის და რჩება ქართულ სპორტში — ქვეყნის ამ წარმატებულ სფეროში ერის ინტერესების ერთგულ დარაჯად. ვინ იცის, რამდენ საინტერესო ისტორიას ინახავს მისი გაყვითლებული ფურცლები, რამდენი ჭეშმარიტი ქომაგი გაუხარებია საერთაშორისო სარბიელზე ქართველ ათლეტთა წარმატებების მაუწყებელი ცინცხალი ინფორმაციებით. სტაჟიან გულშემატკივრებს ისიც ეხსომებათ, დილაუთენია თუ როგორი რიგები იდგა კიოსკებთან, რომ როგორმე ყველა სქესისა და ასაკის წარმომადგენლების საყვარელი გაზეთი მოგვეხელთებინა. არადა, ერთხანობა „ლელოს“ ყოველდღიურმა ტირაჟმა 365.000-ს გადააჭარბა და მაინც დეფიციტი იყო, რაც ამ გაზეთისადმი საერთოსახალხო სიყვარულს მკაფიოდ ადასტურებდა.**

თითქმის რვა ათეული წლის განმავლობაში გაზეთის განვითარებასა და დახვეწაში ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის „ლელოს“ სხვადასხვა თაობის შემოქმედებით კოლექტივს — რედაქტორებსა და ჟურნალისტებს. ახალი სახელით გამოსვლამდე გაზეთს სარედაქციო კოლეგია უძღვებოდა. პირველი რედაქტორის — მიხეილ კაკაბაძის ფუძეჩაყრილ ტრადიციებს სამაგალითოდ უერთგულეს გამოცემის მომდევნო ხელმძღვანელებმა — ერემო მახათაძემ, ირაკლი უგულავამ, ანზორ ბასილაიამ, არჩილ გოგელიამ. 1985 წლიდან „ლელოს“ კოლექტივს სათავეში უდგას თენგიზ გაჩეჩილაძე, რომელმაც, მრავალი ძნელბედობის მიუხედავად, გაზეთს სახე და ფუნქცია არ დაუკარგა. მიხეილ კაკაბაძის ძალისხმევას უკავშირდება „ლელოს“ ბაზაზე საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის შექმნა, სპორტის თემაზე წიგნების გამოცემა, სპორტული ტერმინოლოგიის დახვეწა. გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს ყოფილ საბჭოთა სივრცეში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ყველაზე ადრე საქართველოში რომ შეიქმნა, ესეც „ლელოს“ და მისი ამჟამინდელი ხელმძღვანელის დამსახურებაა, რადგან, სწორედ ამ სპორტული გაზეთის რედაქციის კედლებში ჩამოყალიბდა სეოკ-ის დამფუძნებელი საორგანიზაციო კომიტეტი.

და აი, 80 წლის იუბილემდე ერთი წლით ადრე „ლელომ“ მე-14.000 ნომრის გამოსვლა იზეიმა.

დიახ, ჩვენ ხელთაა ევროპაში ერთ-ერთი უძველესი და საქართველოში პირველი სპორტული გაზეთის მე-14.000 საიუბილეო და სარეკორდო ნომერი! თითოეული მათგანი ქართული სპორტის თავისებური მატიანეა, რომლებსაც თან ახლავს ეპოქის მაჯისცემა!

„ლელოს“, რომელიც 2008 წლიდან „მედიაპალიტრას“ შეუერთდა და წელში გაიმართა, პრობლემები აღარ ემუქრება. გუშინ გაზეთმა ახალი ათასეულის ათვლა დაიწყო, დღეს კი დაარსებიდან 79-ე წლისთავს აღნიშნავს.

ღირსეულად განვლილ გზას და იუბილეებს გილოცავთ, კოლეგებო! მუდამ გამარჯვებებითა და სპორტულად შემართულთ გევლოთ!

**„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია**

## ამაგი

# გვახსოვხართ, ვეტერანებო!



**გუშინ სპორტკომპლექს „არენაში“ ვეტერან კალათბურთელთა დასახმარებლად შექმნილი ვიდეორგოლის პრეზენტაცია მოეწყო. კალათბურთის ფედერაციისა და ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდის ინიციატივით დამზადდა კლიპი, რომლის სლოგანია — ჩვენ გვჭირდება ვეტერანთა გამოცდილება, მათ კი — ჩვენი მხარში დგომა!**

ამიერიდან დამსახურებული ვეტერანების დახმარება ნებისმიერ მსურველს შეეძლება. დარეკეთ მაგთიდან და ჯეოსელიდან ნომერზე 0901 200 105 და ამ გზით თქვენ დაეხმარებით იმ ვეტერანებს, რომლებმაც ქართულ კალათბურთს დიდი გამარჯვებები მოუტანეს.

ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდი 2008 წელს შეიქმნა და შესაძლებლობის ფარგლებში დღემდე არაერთ დამსახურებულ კალათბურთელს უმართავს ხელს. ფონდთან მჭიდროდ თანამშრომლობენ კომპანიები „ნატახტარი“, „ჰიუნდაი“ და „ბორჯომი“, რომლებიც ვეტერანებს ფინანსურ დახმარებას უწევენ.

**ვიტალი ჯაფარიძე**

## მკლავჭიდი

# კვიკვინია ისევ უძლეველია

**საქართველოს ყველა კუთხის 200-მდე მკლავჭიდელი მონაწილეობდა ეროვნულ ჩემპიონატში, რომელსაც ფილარმონიის „ივენთ ჰოლმა“ უმასპინძლა. განსაკუთრებით საქართველოს, ევროპის და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა გენადი კვიკვინიამ იყოჩაღა — სამი ოქროს მედალი მოიპოვა. ეროვნული ჩემპიონატის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება საქართველოს ნაკრები, რომელიც 5-13 მაისს ლიტვაში ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს.**

**კვარცხლბეკი**

**მემარჯვენეები. 60კგ.** 1. ალექსი ფრეწუაშვილი (მარტყოფი), 2. ლაშა კახელაშვილი (თბილისი), 3. გელა არაბული (ახმეტა). **65კგ.** 1. რევაზ გოგიაშვილი (ყვარელი), 2. ლევან ჯანანაშვილი (კასპი), 3. ნიკა მაღლაფერიძე (ქუთაისი). **70კგ.** 1. ალეკო აბუთიძე (ქუთაისი), 2. კობა მამამთავრიშვილი (წყნეთი), 3. ოთარ თავართქილაძე (ბათუმი), **75კგ.** 1. ზაზა თაბაგარი (ჭიათურა), 2. ჯაბა გეთიაშვილი (თბილისი), 3. გიორგი თვალაშვილი (თბილისი), **80კგ.** 1. ნიკო მათიაშვილი (მარტყოფი), 2. რეზო რუხაძე (რუსთავი), 3. დავით სამუშია (ზუგდიდი), **90კგ.** 1. არსენ შოშიაშვილი (მარტყოფი), 2. გიორგი დემეტრაშვილი (თბილისი), 3. ლევან ბერძენიშვილი (თბილისი), **100კგ.** 1. საჩო გახარია (თბილისი), 2.



ვანო კბილაშვილი (თბილისი). 3. არჩილ თედორაძე (ქუთაისი), **110კგ.** 1. გენადი კვიკვინია (აჭარა). 2. ვასო დაუთაშვილი (თბილისი), 3. ლევან საგინაშვილი (თბილისი), **+110კგ.** 1. რეზო ლუტიძე (თბილისი), 2. მალხაზ ხვედელიძე (რუსთავი), 3. აბო რეხვიაშვილი (რუსთავი).

**მემარცხენეები. 60კგ.** 1. გელა არაბული, 2. ლაშა კახელაშვილი, 3. შალვა გაბისიანი (თბილისი), **65კგ.** 1. ვილენ გაბრავა (ხობი), 2. ნიკა მაღლაფერიძე, 3. უჩა ტყეშელაშვილი (ქუთაისი), **70კგ.** 1. კობა მამამთავრიშვილი, 2. ოთარ თავართქილაძე, 3. გოგიტა ხიმშიაშვილი (აჭარა), **75 კგ.** 1. ჯაბა გეთიაშვილი, 2. ზაზა თაბაგარი, 3. ილია აბუთაშვილი (თბილისი), **80კგ.** 1. გიორგი ალბუთაშვილი, 2. გიორგი უბილავა (ორივე — თბილისი), 3. მერაბ კაკაბაძე (აჭარა), **90 კგ.** 1. ირაკლი გამთენაძე (ქუთაისი), ლევან ბერძენიშვილი, 3. არტაკ კობელიანი (ნინოწმინდა), **100 კგ.** 1. გურამ ფაშურიშვილი (თიანეთი), 2. საჩო გახარია, 3. არჩილ თედორაძე, **+110 კგ.** 1. გენადი კვიკვინია, 2. ლევან საგინაშვილი (თბილისი), 3. აბო რეხვიაშვილი (რუსთავი). **აბსოლუტური.** 1. გენადი კვიკვინია, 2. რეზო ლუტიძე, 3. ზაზა თაბაგარი.

**ლაშა დიდია**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ისტორია

# გეშინოდეთ ვან გოგისა!

## ყველაზე ძვირად ღირებულმა მხატვარმა სიცოცხლეში მხოლოდ ერთი სურათი გაყიდა





**160 წლის წინათ, 1853 წლის 30 მარტს ჰოლანდიის სოფელ გროტ ზიუნდეში მეორედ დაიბადა ვინსენტ ვილემ ვან გოგი. პირველი დაბადება, რომელიც ზუსტად ერთი წლის წინათ მოხდა, იმავე დღეს, წარუმატებელი აღმოჩნდა: ბავშვი, როდესაც წინდაწინ ეს სახელი დაარქვეს, მკვდარი დაიბადა.**

აი მეორე მცდელობა კი ჩაითვალა. ასე რომ, ვან გოგის — მომავალი მხატვრისა და შიზოფრენიით დაავადებულის „ახალი ვერსია“ მთელი ბავშვობის განმავლობაში დადიოდა ეკლესიაში თავისი უფროსი ძმისა და სრული სეხნიის საფლავის გავლით. დასაწყისი, ვერაფერს იტყვი, მრავლის აღმთქმელია.

სიკვდილი მუდამ უკან დასდევდა ვინსენტ ვან გოგს ბავშვობიდანვე. სახიჩრობა მისი განმასხვავებელი ნიშანი გახდა. კიდევ სხვას ვის შეუძლია დაიტრაბახოს, რომ მისი სხეულის ყოველ ნაკვეთს მეტ პატივს მიაგებენ, ვიდრე მისი მთელი სიცოცხლის საქმეს? ალბათ, მრავალი კათოლიკური სიწმინდეა, რომელთა პატარა ნარჩენებს იცავენ ევროპის ტაძრებში, როგორც უდიდეს ძვირფასეულობას. და მათ გარდა — პროტესტანტი პასტორის ერთ ვაჟიშვილს ჰოლანდიიდან, სიცოცხლეში ულიარებელ მხატვარს, ვისი მოჭრილი ყურიც საზოგადოებრიობის ხსოვნაში ჩრდილს აყენებს ყველაფერ დანარჩენს.

### ყრუ ყური

**„ყველაზე დახვეწილი მკითხველიც კი, როდესაც ხელში აიღებს წიგნს ვან გოგის შესახებ, ვერ შეიკავებს თავის ცნობისმოყვარეობას, სანამ არ აღმოაჩენს სტრიქონებს, რომლებიც ყურს ეძღვნება. ყველაფერი დანარჩენი, ვან გოგის ყურს გარდა, უფერულად მოეჩვენება“. რობერტ უოლეისის, ვან გოგის შემოქმედების მკვლევარის ეს სიტყვები, სამწუხაროდ, სიმართლეა. საფრანგეთის ქალაქი არლი, სადაც მოხდა სახელგანთქმული ყურის მოჭრა, მართლაც მომლოცველობის ადგილად იქცა. და მისი მცხოვრებლები მეტად წარმატებით იყენებენ საეჭვო „წმინდა ნაწილებს“ მხატვრისა, რომელიც სიცოცხლეში მათთვის იყო მხოლოდ არასასურველი უცხოელი, მიგრანტი, გასტარბაიტერი: „უზარმაზარი ავტობუსებით მოდიან ტურისტების ჯოგები... მსუქანი თითებით არჭობენ, აიო, აქ არის... ყური... მეძავისთვის. სიფილისი... ვან გოგი...“**

ანდა რა უნდა ილაპარაკო — მეძავის გულისთვის მოკვეთილმა ამ ორგანომ უამრავი ანეკდოტი წარმოშვა. მათ შორის არის ზოგი საინტერესო: „ვან გოგმა მოიჭრა ყური. ეს იმის უტყუარი დადასტურებაა, რომ რუსი შანსონი იმ დროშიც კი არსებობდა“. ანდა: „ვან გოგი სპილოზე დიდი იყო. იმიტომ რომ ერთი თავისი ყურით დაფარა მსოფლიო ფერწერის მთელი ფენა“.

ეს ყველაფერი, რასაკვირველია, სწორია. ფაქტებს წინ ვერ დაუდგები. იყო მოჭრილი ყური. იყო ემიგრაცია საფრანგეთში. იყო მეძავებთან თანაცხოვრება. იყო საგიჟეთიც, რაც ამ თანაცხოვრებამ განაპირობა. „მან სულ რაღაც თავისი 10-წლიანი შემოქმედების განმავლობაში დატოვა 850 ტილო და დაახლოებით 900 ნახატი. ესაა გაზრდილი პროდუქტიულობის შედეგი ტვინის ისეთი სიფილისით დაავადების წინ, როგორსაც ადგილი ჰქონდა ნიცშესთან, მოპასანთან და შუმანთან. ვან გოგი იმის კარგი მაგალითია, თუ საშუალო ნიჭი, ქრონიკული ალკოჰოლიზმის, ვენერიული დაავადებებისა და ფსიქოზის წყალობით, როგორ გადაიქცა მსოფლიოში აღიარებულ გენიოსად“, — წერდნენ კრიტიკოსები.



წითური ცენტრში – სხვა არავინაა, თუ არა თავად ვინსენტ ვილემი.

### დინების წინააღმდეგ

**დიახ, ყველაფერი სიმართლეა. მაგრამ ეს უბედური მოკანკალე წითური ფსიქი და ლოთი ულრმეთი დეპრესიის პერიოდში რჩებოდა ძალიან კარგ და რაც მთავარია, სავსებით ტრადიციულ ჰოლანდიელ მხატვრად. აი ვინსენტი თავისი მღვდელი მამის შუამდგომლობით იღებს საერო მქადაგებლის ადგილს ქვანახშირის მაღაროებში. დამმოწმებლების თანახმად, ის იქ ძირითადად თავს ისულელებს. დადის ფეხშიშველა, იცმევს ღამის პერანგს, ჭამს მხოლოდ პურს, კარტოფილს და სვამს წყალს, აგრეთვე სახეზე ისვამს მურს, რომ მეშახტეებისგან არ განსხვავდებოდეს. და ამავე დროს ერწყმის მათს ყოფას, რომ მოგვიანებით გააოგნოს ყველა თავისი ტილოთი „კარტოფილის მჭამელები“.**

შემდეგ, როდესაც საფრანგეთის არლის საგიჟეთში მოათია თავისი ხანი, ვან გოგი ხატავს ტილოს „პატიმართა გასეირნება“.

და გარშემომყოფნი უმალვე ფეთქდებიან უზიწო რისხვით. საშინელებაა! როგორ გაბედა შეებღალა ფერწერის ხელოვნება ასეთი სიფათეებით? ნუთუ არ არსებობს სხვა სიუჟეტები? რა საჭიროა ყოველგვარი სისაძაგლის გამოტანა დღის სინათლეზე? ამ მეძავების, ფოსტალიონებისა და გლეხების სისაზიზღრისა?

იქნებ ამიტომ არ ყიდულობენ მის სურათებს. მაგრამ ეს არაფერია. ვინსენტის უმცროსი ძმა, ტაო ვან გოგი, ევროპის გალერეის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი, „უგზო-უკვლო“ მხატვარს ყოველთვიურად 250 ფრანკს უგზავნის. ეს, სხვათა შორის, ერთნახევარჯერ მეტია, ვიდრე მხატვრის მეგობრის, ფრანგი ფოსტალიონის ხელფასი, და ორჯერ მეტი, ვიდრე სოფლის სასწავლებლის მასწავლებლისა, სადაც ოდესღაც თავად ვინსენტი სოფლის ბავშვებს ასწავლიდა ევროპის ძირითად ენებს — ფრანგულს, გერმანულსა და ინგლისურს... მან თანმიმდევრულად ჩაიშალა მასწავლებლის, მღვდლისა და ვაჭრის კარიერა, თუმცა ჰქონდა როგორც პირველის, ისე მეორისა და მესამის თანდაყოლილი მონაცემები. ოდესღაც მამამისს, როდესაც სასოწარკვეთილებას მიეცა თავისი „მეორე პირველი შვილის“ „წარმატებებით“, აღმოხდა: „იქნებ, ის რაღაცას მაინც აღწევს. არ აქვს მნიშვნელობა, კერძოდ რაში...“

ლოცვამ შედეგი გამოიღო. ვინსენტ ვილემ ვან გოგმა მიაღწია წარმატებას. თუმცა, სიკვდილის შემდეგ, როდესაც შევიდა ყველა დროისა და ხალხის ყველაზე ძვირადღირებული მხატვრების სამეულში. სიცოცხლეში კი მან გაყიდა მხოლოდ ერთი სურათი — „წითელი ვენახები არლში“, ისიც კოლეგას, მხატვარ ანა ბოშს მიყიდა. თუმცა, ტილო სასწრაფოდ შეიძინა მისგან რუსმა კოლექციონერმა სერგეი შჩუკინმა და სურათი დღეს მოსკოვშია...

სახელგანთქმული ყური? აქაც ყველაფერი როდია მაღალ დონეზე. ცხადია მხოლოდ, რატომ სწორედ იგი: გულისწყრომის შეტევის დროს სად გცალია გაიხადო, ვთქვათ, შარვალი. მაგრამ აი, ვინ მოკვეთა? ყველაზე სავარაუდო ვერსიაა — თავად გოგმა მორიგი ნერვიული შეტევის დროს. თავად ორგანო, ამასწინანდელი ლეგენდის თანახმად, ამერიკაში აღმოაჩინეს...

**კონსტანტინ კუდრიაშოვი**

### ვან გოგის ყველაზე ძვირი სურათები



82,5 მლნ დოლარი

ეს ტილო იყიდა იაპონელმა ბიზნესმენმა რიუი საიტომ, რომელიც ისე შეეთვისა მას, რომ გამოთქვა სურვილი გარდაცვალების შემდეგ იყოს კრიმინებული მასთან ერთად. სად არის ამჟამად პორტრეტი, უცნობია.



71,5 მლნ დოლარი

ვან გოგმა უამრავი ოდენობის ავტოპორტრეტი დახატა, მაგრამ ეს არის ერთადერთი, სადაც მხატვარი კარგადაა გაპარსული. შეიძლება, ეს საავადმყოფო დისციპლინისა და ჰიგიენის შედეგი იყოს — სწორედ 1889 წელს ვინსენტი კლინიკაში იმყოფებოდა.



57 მლნ დოლარი

თითქმის როგორც უკრაინის დროშაა — სურათი დახატულია უპირატესად ორი საღებავით: ყვითელით და ლურჯით. ასევე არსებობს მოსაზრება, რომ უკვე მაშინ ვან გოგი ფიქრობდა თვითმკვლელობაზე — კვიპაროსი ევროპულ ტრადიციაში სიკვდილის სიმბოლოა.

ალიან-ჩალიანი

## შსს-მ ცხრა ავტომანქანის გაქურდვისათვის ორი კაცი დააკავა

**შსს-ს ინფორმაციით, თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს 1 განყოფილების თანამშრომლებმა 1997 წელს დაბადებული გიორგი ს. და 1993 წელს დაბადებული ლაშა დ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.**

**დაკავებულებმა 4 აპრილს, თბილისში, დედოფლისწყაროს, წურწუმიას და ქურხულის ქუჩებზე, ღამის საათებში, ცხრა სხვადასხვა მარკის ავტომანქანის მინა დააზიანეს და მაგნიტოფონები, პანელები და პულტები მოიპარეს.**

**სამართალდამცველებმა ორივე ბრალდებული, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მეტრო-სადგურ „ავლაბრის“ მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. ნაქურდალი ნივთები ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.**

## 180 აბი „ტრამადოლი“ აღმოუჩინეს

**11 აპრილს, სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით, თურქეთიდან საქართველოში ტრანზიტულად მიმავალი, სომხეთის მოქალაქე ჰ.ჰ შემოვიდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, მოქალაქეს საბაჟო დათვალიერების შედეგად, ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი, 180 აბი პრეპარატი „ტრამადოლი“ აღმოაჩნდა.**

**საქმის მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით, კრიმინალურ პოლიციას გადაეცა.**

**ინტერპრესი**

კარიკატურისტის თვალით



**— იცოდე, თუ გსურს ცოლთან საერთო ენის გამონახვა, საკუთარი უნდა გადაყლაპო...**

**ამირან ერაძის ნახატი.**

იურიდიული კონსულტაცია

**რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი**

**კითხვა: იქნებ მაცნობოთ, რამდენ დღეშია ვალდებული სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონული სამსახური განიხილოს პენსიის დანიშვნის საკითხი?**

**რუსიკო ანთაძე**

**პასუხი:** „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, პენსიის დანიშვნის საკითხი სააგენტოს რაიონულმა სამსახურმა უნდა განიხილოს განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენიდან არა უგვიანეს 10 დღის ვადაში. აქვე გაცნობებთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობისა და საპენსიო ასაკის გამო, პენსია ინიშნება განცხადებისა და ყველა საჭირო საბუთის წარდგენის დღიდან.

**კითხვა: მე და ჩემს მეგობრებს გვაინტერესებს, რომელი დაწესებულება მიიღებს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობას?**

**ვალერიან გაბისონია**

**პასუხი:** საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში, რომელიც 2013 წლის 28 თებერვლიდან ამოქმედდა, მონაწილეობას მიიღებს ნებისმიერი სამედიცინო დაწესებულება, თუ იგი აკმაყოფილებს ამ საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, გამოთქვამს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს, ეთანხმება მის პირობებს და დადგენილი წესით წერილობით დაუდასტურებს სოციალური მომსახურების სააგენტოს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს.

**ტელ: 595 05-11-77**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოფენა

# ტურისტული სეზონის მოლოდინში

**გაზაფხულის შუა ხანი ნამდვილად შესაფერისი დროა ტურისტული გამოფენის მოსაწყობად, რადგან მნახველსაც შესაძლებლობას აძლევს სხვადასხვა ტუროპერატორის ახალ შეთავაზებებს გაეცნოს, თავად ტურისტულ ფირმებს საკუთარი შეთავაზებები გააცნოს, საქმიანი კონტაქტები დაამყარონ საქმიან პარტნიორებთან.**



ტურისტულ გამოფენაზე ადგილობრივ კომპანიებთან ერთად ასევე მონაწილეობენ აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის, ტაილანდისა და არაბთა გაერთიანებული საამიროების ტურისტული კომპანიები. მთლიანად 50 სტენდზე ასზე მეტი ორგანიზაციაა წარმოდგენილი, მათ შორის დასასვენებელი კომპლექსები, მრავალმხრივი მომსახურების ტუროპერატორები, რომლებიც კლიენტებს კულტურულ, ისტორიულ და ღვინის ტურებს, ასევე ექსტრემალურ და სათავგადასავლო პროგრამებს სთავაზობენ.

საქართველო გამოფენაზე სხვადასხვა მხარეში არსებული სანატორიუმებით, პანსიონატებით, დასასვენებელი სახლებითა და სამკურნალო-დასასვენებელი ცენტრებითაა წარმოდგენილი. ცალკე აღსანიშნავია, რომ აქვე კახეთის სოფელ მელაანში არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი ძველი წელთაღრიცხვის IX-VII საუკუნეების დათარიღებული ბრინჯაოს მცირე ზომის ქანდაკებების ასლების გაყიდვაც მოეწყო. მნახველებს ასევე სხვადასხვა სახის სუვენირებს სთავაზობენ.

ორგანიზატორთა ჩანაფიქრით, გამოფენის მიზანია საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია, სხვადასხვა ქვეყნის ტუროპერატორთათვის სამუშაო კონტაქტების დამყარების პირობების შექმნა, სხვადასხვა ქვეყნის ტურისტულ შესაძლებლობათა შესახებ საზოგადოების ინფორმირება.

ამასთან გაიმართება ფოკლორ-ანსამბლის „ჩვენებურების“ კონცერტი და თეატრ „სინთეზის“ ჯამბაზებისა და აკრობატების მომზადებული სახალისო წარმოდგენა.

**ნინო ალექსანდრია**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**





ჩვენი პრესდაიჯესტი

## გუშინდელი გაზეთებიდან



### რას ურჩევს სოსო ცისკარიშვილი ივანიშვილს?

— ახალი ხელისუფლების რეიტინგის გარკვეული კლება აშკარაა. ამის დასტური იქნება, თუ აღმოვაჩენთ, რომ ნაძალადევის რაიონში არჩევნებზე ძირითადი ბრძოლა სოსო მანჯავიძესა და კახა კუკავას შორის გაიმართება,— ამბობს პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი, — დროა, ახალმა ხელისუფლებამ ირწმუნოს, რომ ის გახლავთ საჭეთმპყრობელი ქვეყნის ვითარებაში და შეეჩვიოს ოპოზიციასთან ურთიერთობის იმ სტანდარტებს, რაც არსებობს და ეცადოს, არ გაიმეოროს ის შეცდომები, ნაციონალებს რომ ჰქონდათ, რადგან ნაკლები დემოკრატია ნიშნავს ყოველთვის ნაკლებ სამართლიანობას. ამიტომ დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება ნიშნავს ქვეყნის გაძლიერებას.

„ალია“

### მაღალჩინოსნების საქმეები გაიყინა

ქვეყნიდან წასული ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავებისა და გასამართლების შანსი, უფლებადამცველების თქმით, ნულის ტოლია, შსს და პროკურატურა კი აცხადებს, რომ ინტერპოლის წითელი ცირკულარით მათზე ძებნა უკვე გამოცხადებულია, თუმცა მოხდება თუ არა ძებნილების დაკავება და საქართველოში ექსტრადირება, ვერ აკონკრეტებენ. ზურაბ ადეიშვილი, დავით კეზერაშვილი, დათა ახალაია, სოსო თოფურიძე, მეგის ქარდავა — ეს ქვეყნიდან გაქცეული მაღალჩინოსნების არასრული სიაა, ვისზეც შსს-ს ინტერპოლით ძებნა აქვს გამოცხადებული, თუმცა, ამ დრომდე მათი ადგილსამყოფელის შესახებ არავითარი ინფორმაცია არ არსებობს.

„რეზონანსი“

### „ეს პარლამენტი ქართველი ხალხის ნების გამომხატველი არ არის“

— ამბობს სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოს წევრი, მსახიობი გია ბურჯანაძე, —ზოგჯერ მეშინია, ბიძინა ივანიშვილი ვიწრო პოლიტიკური გუნდის იზოლაციაში არ მოექცეს. დათო უსუფაშვილი კარგი პოლიტიკოსია, მაგრამ მას და რესპუბლიკურ პარტიას საზოგადოებისთვის მიუღებელი მსოფლმხედველობა აქვთ. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ამჟამინდელი მოწვევის პარლამენტი ხალხის ნების გამომხატველი არ არის.

„ვერსია“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

დაიჯესტი

## თავს ნუ შეიკავებთ!

**პიტსბურგის (აშშ) კარნეგი-მელონის უნივერსიტეტის ფსიქოლოგების გამოკვლევით დადგინდა, რომ ხალხს, ვინც ნერვული დაძაბულობისგან განიმუხტება, სულ მცირე წნევა ნორმაში აქვს.**

— კაცი, რომელიც ნერვებს არ თოკავს და დაძაბულ ვითარებაზე ფიცხად რეაგირებს, სტრესის ჰორმონ კორტიზოლს ნაკლებად გამოიმუშავებს, — ამბობს დოქტორი ტოდ მოური. — ყველაფრის „გულში გადახარშვას“ კი სტრესის ჰორმონის ჭარბი გამომუშავება მოსდევს. მომავალში კი ეს სიმსუქნის, ძვლოვანი მასის შემცირებისა და გულის სისხლ-ძარღვთა დაავადების პროვოცირებას ახდენს.

მეტიც: წიგნში „ნეგატიური აზროვნების პოზიტიური ძალა“ ფსიქოლოგი ჯულია ნორმი აღნიშნავს, რომ გაბრაზებულ ადამიანებს გადაწყვეტილებათა მიღება უკეთესად და უფრო სწრაფად შეუძლიათ.

— „ხანმოკლე სტრესულ ვითარებებში სისხლში საგრძნობლად იზრდება გლუტამინის შემცველობა, რომელიც მეხსიერების სტიმულირებას და გონების კონცენტრირებას უწყობს ხელს, ასევე აუმჯობესებს თავის ტვინის შრომისუნარიანობას“, — წერს მეცნიერი.

## სტრესი გვიტევს

**35 წლამდე ახალგაზრდები სტრესით უფროსი თაობის ხალხზე გაცილებით ხშირად არიან დაავადებული.**

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებული გამოკვლევით ირკვევა, რომ ქვეყანაში 69 პროცენტი ახალგაზრდა უფულობის გამო ნერვიულობს; მოქალაქეთა 65 პროცენტში სამსახურში წარმოქმნილ პრობლემათა გამო უსიამოვნებაში ხვდება; 55 პროცენტი კი პირადული პრობლემებით იტანჯება. ამასთან, გამოკითხულ რესპონდენტთა 40 პროცენტი ექიმებთან მისვლას არც აპირებს.

კადრი



ანეკდოტები

**— მაგარი ქორწილი გადაიხადე, ძმაო! საიდან იშოვე ამდენი ფული?**
**— დიდი ხანია, ცოტ-ცოტას ვაგროვებდი შავი დღისთვის. და, აი, დამიდგა კიდეც ეს მომენტი.**

* * *

**ჩვენ, როგორც იტყვიან, სხვისი არაფერი არ გვინდა — ჩვენ ყველაფერს ჩვენად მივიჩნევთ.**



* * *

**სინამდვილეში ევროპელ ჰომოსექსუალისტებსა და ლესბოსელებს სულაც არ მოსწონთ ერთსქესიანი სიყვარულით ტკბობა. მათ მოსწონთ მის დასაცავად მიტინგების მოწყობა.**

* * *

**თუ არსებობს იურიდიული პირი, უნდა არსებობდეს იურიდიული უკანალიც.**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ზურაბ ზოზიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com